პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხებისა, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 15 სექტემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 215 (2258)

დღიური

- ამერიკელი სენატორი ტომასი საბჭ. კავშირის ცნობას მოითხოვს.
- ინგლისის მუშათა პარტია განიარაღების შესახებ.
- ვარშავის გაზეთების გამოძახილი ვოლინის ვოევოდის—იუზეფოვსკის სიტყვაზე.
- ვენის „როტე ფანე"-ს კონფისკაცია.
- ნორვეგიის სანაპიროებთან ნაპოვნი აეროპლანის ნამსხვრევები „ლატამის" არ აღმოჩნდა.
- ბულგარეთის მთავრობის შედგენა ლიაპჩევს მიენდო.
- პორტუგალიიდან მიღებულ ცნობით, იქ შეთქმულება აღმოაჩინეს.

საქ. კ. პ. (ბ) ცკას მე-4-ე
მორიგი პლენუმი
მაზრკომების და ოლქკომების მდივნებთან ერთად
გაიხსნება 25 სექტემბერს
საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში
საქ. კ. პ. (ბ) ცკას მდივანი მიხ. კახიანი.

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები უნდა შემცირდეს

(საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების გამო)

საბჭოთა აპარატის გამარტივება-გაიაფების ამოცანა უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტიისა და ხელისუფლების დიდ ყურადღებას იპყრობს. ჩვენი ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატი დაავადებულია ბიუროკრატიული სენით. ის ამასთან ერთად გაცილებით იმაზე უფრო დიდია, ვიდრე ამას საქმე ითხოვს. ამის გამო ის ძვირიც არის, რაც მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს სალაროს.

მთავრობის დადგენილება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ მიზნად ისახავს ერთი მხრივ მართველობის აპარატის გაიაფებას და მეორე მხრივ მის მუშაობის გაუმჯობესება-გამარტივებას. ყველა დაწესებულება-წარმოების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, რომ მან მტკიცედ გაატაროს მთავრობის მიერ არა ერთხელ მოცემული კატეგორიული დირექტივა ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შეკვეცის შესახებ. სინამდვილეში კი ძალიან ხშირად წინააღმდეგს ვხედავთ.

არის მთელი რიგი დაწესებულებები და წარმოებანი, სადაც გულწრფელად ფიქრობენ, ან განზრახ უნდათ საქმე ისე დასახონ, რომ სამმართველო ხარჯების შეკვეცა მათ აპარატში შეუძლებელია, რადგან ეს ხარჯები თითქოს ისედაც მინიმუმამდეა დაყვანილი. ასეთ დაწესებულებები ფაქტიურად საბოტაჟს უწევენ მთავრობის დადგენილებას, ამავე დროს, როცა სათანადო საკონტრ. ორგანოები მათგან კატეგორიულათ ითხოვენ ხარჯების ასეთ შემცირებას და ეს მოთხოვნა ტარდება ცხოვრებაში, ხშირად ირკვევა, რომ ჩატარებულ ღონისძიებამ მოგვცა დიდი მატერიალური და ტეხნიკური ეფექტი.

არის ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ გამოცემულ დადგენილებისადმი უყურადღებობის სხვა შემთხვევებიც. ბევრგან ასე მიაჩნიათ, რომ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება მათ უკვე ჩაატარეს 20 პროცენტით და ასე გასინჯეთ, კიდევ მეტითაც. სინამდვილეში კი არის შემთხვევა, როცა ეს ჩვეულებრივი კანცელიარული პროექტია. 20 პროცენტიანი შემცირება გატარებულია გარეგნულად. პრაქტიკულად ხარჯები ან სრულიად არ შემცირებულა, ან ნაწილობრივ თუ არის შემცირებული.

ჩვენ ვიცით ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებისადმი უყურადღებობის უფრო უმზგავსო ფაქტებიც. არიან დაწესებულება-წარმოებები, სადაც არა თუ არ ჩაუტარებიათ ოცპროცენტიანი შემოკლება, არამედ, პირიქით, გაადიდეს კიდეც ეს ხარჯები. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, სხვათა შორის, ისეთ დიდ დაწესებულებაში, როგორიცაა ამიერ-კავკასიის რკინის გზები.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. მთავრობის დადგენილება ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავატაროთ. ამას გვიკარნახებს საბჭოთა კავშირის ფინანსიური ინტერესები, ეს აუცილებელია ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და აპარატის გამარტივება-გაჯანსაღების მიზნითაც.

ამიტომ იქ, სადაც დაწესებულება-წარმოებები არ იჩენენ საკუთარ ინიციატივას ზედმეტი ხარჯების შესამცირებლად, საჭიროა რადიკალური ხასიათის ზომების მიღება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომ ,თუ საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს ადმინისტრატიულ-სამმართველოს საჭიროებისათვის 1927—28 სამეურნეო წელს ნასესხები აქვთ თანხები ოპერატიულ-საბიუჯეტო კრედიტებიდან, სპეციალურ თანხებიდან და სხვა წყაროებიდან, დაეხუროთ კრედიტები ამ დაწესებულებებს 1927—28 წლის ბიუჯეტიდან იმ თანხების რაოდენობით, რამდენიც უსესხიათ. გარდა ამისა, ასეთ დანაშაულში შემჩნეული ადმინისტრატორები პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

მთავრობის ეს ღონისძიება უთუოდ გამოიღებს სასარგებლო ნაყოფს. მაგრამ ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. საკმარისი არაა, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიცაა სამართველო ხარჯების შემცირება, მარტო ადმინისტრატიულ ზეგავლენით ტარდებოდეს. ამასთან ერთად აუცილებელია საზოგადოებრივ აზრის ამოქმედებაც.

ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს იმ მხრივ მეტი აქტივობა მართებთ. ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების დაგვიანებით გატარებაში მარტო დაწესებულება-წარმოებათა ხელმძღვანელებს არ უდევთ ბრალი. აქ თავიანთ ზემდგომ ორგანიზაციების წინაშე ერთნაირად პასუხისმგებელნი არიან პარტიის უჯრედები და ადგილკომები.

იყო პერიოდი, როცა აპარატის ხარჯების შემცირებას ქვედა საფეხურის ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. შემდეგ ეს სიფხიზლე მოდუნდა და ბევრგან საკითხი სრულ დავიწყებას მიეცა. სინამდვილეში კი გვაქვს ასეთი სურათი: ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება 1927 წლის ივნისში უნდა დასრულებულიყო და ბევრგან ის ეხლაც კიდევ არ არის გატარებული.

საკავშირო მთავრობის დადგენილება ერთხელ კიდევ მოაგონებს დაწესებულება-წარმოებათა ხელმძღვანელებს და საბჭოთა საზოგადოებრიობას, რომ აპარატის უსარგებლო ხარჯების შემცირების წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ რჩება ერთ-ერთ საჭირბოროტო ამოცანად და ასეთად დარჩება ის მანამ, სანამ ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები ნამდვილათ არ იქნება შეკვეცილი იმ მინიმუმამდე, რომელსაც მოითხოვს საქმე.

მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე

(ტუბერკულოზის მე-IV საკავშირო ყრილობის გამო)

მეფის მთავრობის დროს საქართველო თითქმის სრულიად უმწეო იყო ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეპიდემიას საქართველოს მოსახლეობისათვის არა ერთხელ მიუყენებია დიდი ზარალი.

თვითმპყრობელური მთავრობა მოსახლეობას ანტისანიტარულ მდგომარეობაში სტოვებდა, და სრულიად არ ზრუნავდა გლეხების და მუშების ფართო მასისათვის, ის მხოლოდ დიდ ქალაქებში მცხოვრებ ბურჟუაზიას უწევდა საექიმო-სანიტარულ დახმარებას.

ასეთი იყო სინამდვილე ოქტომბრის დიდ რევოლიუციამდე.

მშრომელთა მეოხებით, ყოფილი თვითმპყრობელური რუსეთის განაპირა ქვეყანა, საქართველო, მუშურ-გლეხურ საბჭოთა სახელმწიფოდ გადაიქცა.

დაიწყო კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობის სწრაფი ზრდა. აღდგენილ იქმნა ომისაგან განადგურებული სახალხო მეურნეობა. ქვეყანამ იწყო ეკონომიური და კულტურული ზრდა.

საქართველოს კულტურულ მშენებლობის აყვავებას კარგად ახასიათებს სამკურნალო-სანიტარულ საქმის განვითარება როგორც ქალაქებში, ისე სოფლეულ ადგილებში. ისეთი მივარდნილ ადგილებში, როგორიცაა სვანეთი და ხევსურეთი. სადაც იცოდნენ მხოლოდ ექიმბაში და არ ენახათ ექიმი, დღეს მოწყობილია საავადმყოფოები, საექიმო პუნქტები და სხვ.

საბჭოთა მედიცინის მშრომელ მასაში შეჭრამ აღმოაჩინა მთელი რიგი ეპიდემიური, სოციალური და სხვ. სნეულებები.

ცნობილია, რომ მალარია ანადგურებს საქართველოს თითქმის მთელ მოსახლეობას, ვიცით ისიც, რომ ტუბერკულოზმა მკვიდრად მოიდგა ფეხი მშრომელთა შორის. ამ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც გავრცელებულია ყველა საკავშირო რესპუბლიკებში, სწარმოებს შეუპოვარი ბრძოლა.

მუშების, გლეხების და სამეცნიერო მუშაკების საშუალებით, სახელმწიფო სპობს იმ სოციალურ ბოროტებას, რომელიც საუკუნოებით ანადგურებდა ჩვენი მოსახლეობის ძირითადი კადრის—მუშების და გლეხების ჯანმრთელობას.

ამ მიზნით თბილისში მოწვეულია ტუბერკულოზის მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობა.

მე-4 ყრილობას, დიდი პოლიტიკური და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ყრილობა იკრიბება თბილისში—საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოძმე რესპუბლიკის ცენტრში.

აღნიშნული ყრილობა დიდად წასწევს წინ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საქმის რაციონალიზაციას.

სალამი, ტუბერკულოზის სრულიად საკავშირო მე-4 ყრილობას.

გრ. კუჭაიძე.

ინგლის-საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ

გერმანიის დელეგაციას განზრახვა აქვს დაუთმოს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს

პოლიტიკური წრეები გერმანიაში აღშფოთებული არიან მიულერის დათმობითი პოლიტიკით

რეინის ოლქის დაცლის გარშემო

პოლიტიკური წრეების თვალსაზრისი

ბერლინი, 13 სექტემბერი. რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხის შესახებ ხუთი სახელმწიფოს იმ თათბირთან დაკავშირებით, რომელიც 13 სექტემბერს უნდა მოხდეს, გერმანიის პოლიტიკურ წრეებში თვალსაზრისთა სხვა და სხვაობა თანდათან უფრო აშკარავდება.

სოციალ-დემოკრატები და დემოკრატები ევაკუაციისა და რეპარაციის საკითხებში დიდი დათმობის მომხრენი არიან, რომ ამრიგად ღია დასტოვონ გზა მოლაპარაკების განსაგრძობად. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული წრეები პრინციპიალურად წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ ეს საკითხები ერთმანეთს დაუკავშირონ.

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ის მთავარი რედაქტორი **ბერნგარდი** ურჩევს **მიულერს**, შეუთანხმოს თავისი ტაქტიკა პარლამენტის იმ მოღვაწეებს, რომელნიც ჟენევაში გაგზავნილ გერმანიის დელეგაციაში შედიოდნენ. ამასთან ბერნგარდი გარკვეულად უპირდაპირებს ერთმანეთს დელეგაციაში მონაწილე პარლამენტის წევრებს,, რომელნიც ცნობილი არიან, როგორც საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების მომხრენი, და გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ დელეგაციის მუშაობაში.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის მთავარი რედაქტორი **კლეინი** ამხნევებს **მიულერსა** და სტატს-სეკრეტარს **შუბერტს და ურჩევს, არ შეუშინდნენ ხუთი სახელმწიფოს კონფერენციას.**

„პირადად მე, სწერს კლეინი,—არ დავსთანხმდებოდი, რომ გამოქვეყნებულიყო ოფიციალური ცნობაც კი თათბირის შესახებ. სჯობია უფრო ცივად განვშორდეთ ერთმანეთს, ვიდრე მივაფუჩეჩოთ ნათელი სიტუაცია. სხვა არაფერს შეუძლია გააქარწყლოს ჟენევის თათბირის უსათუოდ უარყოფითი ეფექტი".

კლეინი გადაჭრით ეწინააღმდეგება გერმანიის ანტი-ამერიკულ ფრონტში ჩაბმის იდეას ორი საკითხის—რეინის ოლქის ევაკუაციისა და მოკავშირეთა შორისო ვალების საკითხის—ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებით.

ნაციონალისტების ფრაქციამ მოითხოვა რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის მოწვევა. ნაციონალისტები კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგაც კი, რომ ევაკუაციის საკითხი დაუკავშირონ მოლაპარაკებას რეპარაციების შესახებ თუნდაც მხოლოდ ფაქტიური მოლაპარაკების ფარგლებში, და არა პრინციპიალურად, როგორც წინადადებას იძლევიან სოციალ-დემოკრატები. ნაციონალისტებს ეშინიათ, რომ გერმანიის მხრივ ადგილი ექნება შემდეგს დათმობებს რეინის ოლქზე კონტროლის გაწევის საკითხში. (ადს).

გამარჯვებულ სახელმწიფოთა ძალდატანებით

ბერლინი, 13 სექტემბერი. თუმცა ხუთი სახელმწიფოს მეორე თათბირის შესახებ გერმანიის პრესა აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობის თვალსაზრისი უცვლელი რჩებაო, მაგრამ **გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ გერმანიის დელეგაციის პოზიციაში მოხდა გადახრა და მხარეები შეთანხმდნენ განიხილონ სარეპარაციო პრობლემა. ხოლო ევაკუაციის საკითხი განზე გადასდონ** (როგორც ვიცით, გერმანია პირველ რიგში მოითხოვდა ევაკუაციის საკითხის განხილვას).

დემოკრატიული პარტიის პრესა აშკარად აცხადებს, რომ **სწარმოებს მოლაპარაკება გერმანიის რკინის-გზათა ობლიგაციების ნაწილის გაყიდვის შესახებ საფრანგეთის სასარგებლოდ,** ამასთან გათვალისწინებულია, რომ, თუ შეერთებული შტატების რესპუბლიკა უარს იტყვის ოპერაციაში მონაწილეობაზე, ობლიგაციების რეალიზაცია მოხდება ევროპის ფულის ბაზარზე. (ადს).

ლაყბობა განიარაღების შესახებ

ჟენევა, 13 სექტემბერი. ერთა ლიგასთან არსებულმა განიარაღების საკითხების კომისიამ შესასწავლად გადასცა იურიდიულ კომისიას იმ ხელშეკრულებათა პროექტები, რომლებიც უშიშროების კომიტეტმა განიხილა, და ამით დაამთავრა საერთო კამათი განიარაღების შესახებ. კამათის დროს აზრთა სრული სხვადასხვაობა არსებობდა. საბჭოთა პროექტი ნაწილობრივი განიარაღების შესახებ ერთი სიტყვითაც არა ყოფილა მოხსენებული.

ამგვარად, უკიდურესი თვალსაზრისი აღმოჩნდა პოზიცია გერმანიის დელეგატის ბერნსტორფისა, რომელიც მოითხოვდა, რომ განიარაღების საკითხების განმხილველმა კომისიამ კატეგორიულად აღნიშნოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობის დამთავრების ვადა და თვით კონფერენციის მოწვევის დრო. ბერნსტორფს უპასუხა პოლ ბონკურმა და ის აზრი გამოსთქვა, რომ კომისიამ კატეგორიულად არ უნდა აღნიშნოს მოსამზადებელი კომისიის და თვით განიარაღების კონფერენციის მოწვევის ვადაო; იგი უნდა დასჯერდეს სურვილის გამოთქმას კომისიის მოწვევის ვადის შესახებ და შეძლებისამებრ წინასწარ დარწმუნდეს, რომ კომისია ნამდვილად შეიმუშავებს განიარაღების კონვენციას, ვინაიდან უკვე აღარ შეიძლება ბოროტად გამოვიყენოთ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მოთმინება... კუშენდენმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება პოლ ბონკურს მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადის დანიშვნის შესაძლებლობის საკითხში. კუშენდენმა წინადადება შეიტანა, რომ მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს ლოუდენს მიეცეს კომისიის მოწვევის ვადის განსაზღვრის უფლება, ვინაიდან ლოუდენი გაცნობილი იქნება იმ მთავრობათა წინასწარ მოლაპარაკებას, რომლებსაც შეუძლიათ კომისიის მუშაობის გაადვილება. „განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევა,—სთქვა კუშენდენმა,—მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან, კერძოდ საპარლამენტო არჩევნებთან სხვადასხვა ქვეყანაში. რაც შეეხება განიარაღების მოსამზადებელი კომისიის სესიას,—კომისიის სხდომა მეორე ხარისხოვან საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან, ცხადზე უცხადესია, რომ ეხლანდელ პირობებში ომი წარმოუდგენელია, მიუხედავად იმისა, შემცირდება თუ არ შემცირდება შეიარაღება მოკლე ხნის განმავლობაში".

თავისი სიტყვის დასასრულს კუშენდენმა განაცხადა:

„არ არსებობს ისეთი მთავრობა, რომელიც უფრო მეტად იყოს მონდომებული შეიარაღების შემცირებას, ვიდრე ინგლისის მთავრობაო".

იტალიის დელეგატი მარინისი მიემხრო კუშენდენის წინადადებას იმის შესახებ, რომ მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს ლოუდენს ამ კომისიის მოწვევის უფლება მიეცეს, და განაცხადა: იტალიის მთავრობა მზად არის განახორციელოს შეიარაღების ყოველგვარი შემცირება იმ პირობით, თუ ყველა ქვეყნის შეიარაღება გათანაბრდებაო.

სენატორი ტომასი საბჭოთა კავშირის დაუყოვნებელი ცნობის მომხრეა

ვაშინგტონი, 13 სექტემბერი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა **სენატორ ტომასმა** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა: „მე მომხრე ვარ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკამ დაუყოვნებლივ იცნოს საბჭოთა კავშირი"-ო.

ამასთან ერთად ტომასმა სთქვა, რომ შეერთ. შტატების რესპუბლიკა ფაშისტური დიქტატურის გზაზეა შემდგარი, ამისთვის კაპიტალის კონცენტრაცია საუკეთესო ბაზააო. იმის აზრით კაპიტალის კონცენტრაცია ჩაგვრის ისეთ ატმოსფერას ჰქმნის, როგორიც მეფის რუსეთში იყო, რაც აიძულებს ხალხს დაანგრიოს ცხოვრების ამგვარი პირობები იმავე გზით, რა გზითაც რუსებმა მეფობა დაამხეს.

ტომასი დემოკრატიული პარტიის წევრია. (ადს).

პოლონეთის პრესა იუზევსკის სიტყვის შესახებ

ვარშავა, 13 სექტემბერი. ვოლინის, ვოევოდის, იუზევსკის სიტყვის გამო გაზეთი „ვარშავსკა" სწერს: „პრაქტიკულად, ვოევოდის მიერ წამოყენებული პროგრამის მიხედვით, ვილნო უნდა გადაიქცეს იმ ადგილად, სადაც ჩამოყალიბდება უკრაინის აგრესიული ძალა დნეპრის მხარის უკრაინის წინააღმდეგ. ასეთი ხაზი ეწინააღმდეგება პოლონეთის ინტერესებს, ვინაიდან ამ გეგმის რეალიზაციის ცდა გამოიწვევს ხანგრძლივ და მძიმე ომს რუსეთთან".

როგორც გაზეთი „ნაშ პშეგლონდ"-ი იუწყება, იუზევსკი ერთ დროს იყო პოლონეთის არალეგალური სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი უკრაინაში, შემდეგ „ნაშ პშეგლონდ"-ი ეხება გაზეთ „ვარშავსკა"-ს მოთხოვნას იუზევსკის გადაყენების შესახებ და სწერს:

„იუზევსკის არ დაითხოვენ. არ შეიძლება მოვთხოვოთ დამყაყებულ ფედერალისტს უცებ უარჰყოს თავისი შეხედულებანი.

„ფელკსცეიტუნგ"-ი იუზევსკის სიტყვის შესახებ ირონიულად სწერს:

„როგორც სჩანს, ბატონ ვოევოდას მოეპოვება, საკმაო მარაგი პატრიოტიზმისა, რომელიც ეყოფა პოლონეთსაც და უკრაინასაც. ყურადღების ღირსი კი ის არის, უმთავრესად, რომ განახლებულია კიევ-ვარშავის კონცეპცია, რომლის გამოცხადება მსხვილ სახელმწიფო მოხელის მიერ მთავრობის პარტიის ყრილობაზე მოწმობს ახალი ავანტიურისტული გეგმების აღმოცენებას" (ადს).

15 საბჭოთა მოქალაქის განთავისუფლების გარშემო

„შუნ ტიან ში-ბაოს" ჩივილი

პეკინი, 13 სექტემბერი. იაპონელების გაზეთი „შუნ ტიან ში-ბაოს" მოწინავე წერილი, რომელიც დაწერილია მანამდე, სანამ პროკურორი განაცხადებდა საბჭოთა 15 მოქალაქის საქმის მოსპობის შესახებ, გაოცებას გამოსთქვამს საბჭოთა 15 მოქალაქის მოულოდნელი განთავისუფლების გამო. გაზეთი ჩივის, რომ ჩინური სასამართლო ჩინეთის საზოგადოებრიობას ამ საქმის ამბავს არ აწვდის. გაზეთი ფიქრობს, რომ ნანკინის მთავრობამ და ჩინურმა სასამართლომ უნდა გამოაქვეყნონ მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს საბჭოთა 15 მოქალაქის განთავისუფლება.

„ჩვენ სინანულს გამოვსთქვამთ, რომ დიდის ამბით დაწყებული საქმე, ასე უშედეგოდ დამთავრდა" (ადს).

საფრანგეთის 6 მილიარდიანი სესხის განაწილება

პარიზი, 13 სექტემბერი. როგორც „რეინიშ ვესტფალიშე ცეიტუნგ"-ის პარიზის კორესპონდენტი იუწყება, საფრანგეთის რწმუნებული მოლაპარაკებას აწარმოებდა ბერლინში ხელმძღვანელ გერმანელ ბანკებთან იმ საკითხის შესახებ,—მიიღებს თუ არა გერმანია მონაწილეობას საფრანგეთის ექვსმილიარდიან სესხში, რომლის გამოშვება განზრახულია ნოემბერში ომის დროს დაზარალებული ოლქების მცხოვრებთა ზარალის ასანაზღაურებლად. გაზეთის სიტყვით, ბერლინის ბანკების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გერმანიას შეუძლია მონაწილეობის მიღება სესხში მხოლოდ ერთი მილიარდი ფრანკის რაოდენობით (ადს).

ჩინეთი და იაპონია

ახალი შირმა

ხარბინი, 13 სექტემბ. გაზ. „მოლვა", უკეთებს რა კომენტარიებს ჩან-ცზუნ-ჩანის გამოსვლით გამოწვეულ სამხედრო მოქმედებას ჩჟილის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, სწერს:

„იაპონიის იმპერიალიზმის ხელის შეწყობას ჩან ცზუნ-ჩინის ავანტიურისათვის, ალბად, მიზნად აქვს შანდუნის პროვინციის ოკუპაციის განმტკიცება. იმ შემთხვევაში, თუ ჩან ცზუნ-ჩანი დამარცხდა, მას საშუალება მიეცემა თავი შეაფაროს შანდუნის პროვინციას, რაიც იაპონიის მიერ გამოყენებულ იქნება ახალ შირმად შანდუნის ინტერვენციის გაგრძელებისათვის".

(ადს).

ცარიელი ფრაზები

მაკდონალდის პარტია საყოველთაო განიარაღების „მომხრეა"

ლონდონი, 13 სექტემბერი. მუშათა მოძრაობის ყველა მიმდინარეობას ნალურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც იწვევს ინგლისის მუშათა მოძრაობის ყველა მიმდინარეობას, ენერგიული პროტესტი განაცხადონ იმის გამო, რომ კუშენდენმა ბრიანის სიტყვას მხარი დაუჭირა, და მოითხოვონ განიარაღების განხორციელება. პარტია მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ განიარაღების პოლიტიკის მაგალითი მისცეს სხვებს. დასასრულ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ პარტია ყოველი ქვეყნის საყოველთაო განიარაღების მომხრეა. (ადს).

„როტე ფანეს" კონფისკაცია

ვენა, 13 სექტემბერი. ხეიმვერის (რეაქციონურ-ფაშისტური ნახევრად სამხედრო მოხალისე ორგანიზაცია) მომავალი მანიფესტაციების გამო ავსტრიის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება. კომპარტია მოუწოდებს მუშებს მოაწყონ კონტრდემონსტრაცია ფაშისტების მანიფესტაციის ხელის შესაშლელად. ავსტრიის კომპარტიის ორგანოს „როტე ფანეს" იმ ნომერს, რომელშიაც მოწოდება დაიბეჭდა, კონფისკაცია უყვეს (ადს).

შეთქმულება პორტუგალიაში

პარიზი, 13 სექტემბერი. პორტუგალიიდან იუწყებიან: აქ აღმოაჩინეს შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ; ამასთანავე, ვითომც, შეთქმულებს უპოვეს 36 ყუმბარა, 10 კილოგრამი დინამიტი და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებანი. დაპატიმრებულია 11 კაცი. (ადს).

ტერორი ლატვიაში

რიგა, 13 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, ამ დღეებში, რიგაში დააპატიმრეს 15 კაცამდე. მათ ბრალდებათ საყოველთაო გაფიცვის მოწყობა 22 აგვისტოს, ლატვიის ჯარის გახრწნა და სამხედრო ნაწილებში საიდუმლო სამხედრო რაზმების შექმნა. დაპატიმრებასთან დაკავშირებით, ლატვიის პრესამ დაიწყო სასტიკი კამპანია „მოსკოვის აგენტების" წინააღმდეგ, რომელნიც ვითომ გამოგზავნილი არიან ლატვიის სეიმის მომავალი არჩევნების გამო". (ადს).

პრესა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ვინმე სტრაუტმანის დაპატიმრებას. გაზეთების სიტყვით, ეს სტრაუტმანი ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია. (ადს).

ლიაპჩევის მთავრობა

საეჭვო გამარჯვება

ვენა, 13 სექტემბერი. პარტიის ლიდერებთან თათბირის შემდეგ ბულგარეთის მეფემ ლიაპჩევს მიანდო კაბინეტის შედგენა. ლიაპჩევმა მოახერხა ახალი კაბინეტის შემადგენლობაში დაეტოვებია სამხედრო მინისტრი ვოლკოვი.

პოლიტიკურ წრეებში ახალი კაბინეტის შედგენას სთვლიან ლიაპჩევის გამარჯვებად ცანკოვზე. თუმცა საეჭვოთ მიაჩნიათ, რომ ახალი კაბინეტი ხანგრძლივი გამოდგეს.

ახალი დაპატიმრებანი

ვენა, 13 სექტემბერი. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ვითომც, პოლიციას აღმოეჩინოს არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია. სააგენტოს ცნობით, პოლიციამ ხელში ჩაიგდო ც. კ-ი, რომლის ხუთი წევრი დაპატიმრებულიაო. დაპატიმრებულნი, ვითომც, ბულგარელი ემიგრანტები არიან, რომლებიც ახლახან გადავიდნენ საზღვარს. ამ საქმის გამო ჯერ-ჯერობით დაპატიმრებულია 15 კაცი, რომელთაგან ერთმა დაკითხვამდე თავი მოიკლა (ადს).

ფინეთი იარაღდება

პირველი ნაღმოსანი

ჰელსინგფორსი, 13 სექტემბერი. ინგლისში ზღვაზე ჩაუშვეს პირველი ნაღმოსანი იმ ნაღმოსნებიდან, რომლებიც ფინეთმა ინგლისს შეუკვეთა. (ადს).

პროფკავშირთა ყრილობა

კანადაში

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. ტორონტოში გაიხსნა კანადის პროფკავშირების მორიგი ყრილობა. სამანდატო კომისიამ აუკრძალა ყრილობაზე მონაწილეობის მიღება კანადის კომპარტიის მდივანს ჯეკ მაკდონალდს რომელიც ტორონტოს პროფკავშირების დელეგატია. ყრილობამ უარჰყო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას (ადს).

ბროკდორფ--რანცაუს დაკრძალვა

ბერლინი, 13 სექტემბერი. 13 სექტემბერს ანეტენგოფში (შლეზვიგი) გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისა და საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის რწმუნებულთა თანდასწრებით საგვარეულო აკლდამაში დაკრძალეს გრაფ ბროკდორფ-რანცაუს ნეშტი. საბჭოთა მთავრობის და გარეშე საქმეთა სახ. კომისრის ამხ. ჩიჩერინის სახელით კუბო გვირგვინებით იქნა შემკული.

„კრასინი"-ს მეორე რეისი

ნაპოვნი ფრთის ნამტვრევები „სტრასბურგ"-ს ეკუთვნის

ოსლო, 13 სექტემბერი. როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჰაეროპლანის ფრთის ნამტვრევები, რომელიც 13 სექტემბერს ტრომსეს სამხრეთით იპოვეს, როგორც გამოირკვა, ეკუთვნის თვითმფრინავ „სტრასბურგ"-ს, რომელსაც მარცხი შეემთხვა წარსულ შაბათს. (ადს).

„კრასინ"-ი განაგრძობს ამუნდსენის ძებნას

მოსკოვი, 14 სექტემბერი. „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **უნშლიხტმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „კრასინ"-ის მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, საბჭოთა საზოგადოებრიობის შეგნებაში იბადება შიში ჩვენი ექსპედიციის ბედის შესახებ და ეჭვი, თუ რამდენად მიზანშეწონილია მუშაობის გაგრძელება. ამუნდსენის დაღუპვის ამბის დადასტურება და სერიოზული ეჭვი, რომ ალექსანდრის ჯგუფი ცოცხალია (თუ კატასტროფის დროს არ დაიღუპა), აგრეთვე პრაქტიკაში სამუშაო პირობების საგრძნობლად გაუარესება, ცხადია უფრო აძლიერებენ ამ შიშს. ეს ეჭვი განმტკიცდა მას შემდეგ, რაც „ჩიტა დი მილანო"-მ და „ბრაგანცა"-მ თავი დაანებეს ძებნას და მიდიან. კომიტეტმა გადასწყვიტა, დაადასტუროს ამხ. სამოილოვიჩის პასუხი „ჩიტა დი მილანო"-ს კაპიტან რომანიასადმი: „არსებულ შესაძლებლობათა ფარგლებში საბჭოთა ექსპედიცია განაგრძობს ძებნას".

ვინაიდან ნახშირის მარაგი „კრასინ"-ზე განსაზღვრულია, ხოლო პირობები ამინდის მხრივ აბრკოლებენ მუშაობას, კომიტეტის წინადადებით ამუნდსენის ძებნა იწარმოებს მხოლოდ იმ რაიონში, რომელიც მდებარეობს შვიდი კუნძულის ჯგუფსა და ვიქტორიას კუნძულს შუა. ყინულის პირობების მიხედვით, ძებნა შეიძლება მხოლოდ სექტემბრის დამლევამდე. ამ ხნის განმავლობაში ჩუხნოვსკი თვითმფრინავით დაზვერავს გამოკვლევის გარეშე დარჩენილ ზონას. იმ შემთხვევაში, თუ ძებნას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, „კრასინ"-ი უკან დაბრუნდება. დაბრუნებისას „კრასინ"-ი შეეცდება გამოიკვლიოს ეჯის კუნძულის რაიონი. (ადს).

„კრასინ"-ის თავგანწირული მუშაობა

ყინულისმჭრელი „კრასინი", 13 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სამოილოვიჩმა განაცხადა:

„მეორე მგზავრობა მეტად ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობს; ეს პირობები განსაკუთრებით აძნელებენ ჰიდროაეროპლანის გამოყენებას, ჩვენ აღარ შეგვიძლია უცადოთ გაფრენისთვის ხელსაყრელ ამინდს: რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, წინ უნდა წავიდეთ. ყველაფრის აწონ-დაწონისა და ჩემს ამხანაგებთან—ჩუხნოვსკისთან, ორასთან და ეგესთან—თათბირის შემდეგ ბრძანება გავეცი ჰიდროპლანი გადმოიტანონ გემზე. ეკიპაჟი მთელი დღე და ღამე უნდა იმუშაოს ამ ამოცანის განსახორციელებლად, ვინაიდან დიდი ჰაეროპლანის დატვირთვა მეტად ძნელი საქმეა. დარწმუნებული ვარ, რომ ეკიპაჟი შესძლებს ამ ძნელი ამოცანის შესრულებას.

ჩვენი მიზანია დავათვალიეროთ ყინულის ველების რაც შეიძლება დიდი მანძილი კატასტროფის რაიონში. მაგრამ რადგან შვიდი კუნძულის და ილო-სმიტის კონცხის რაიონში სუფთა წყალია, ჩვენ წავალთ ჩრდილო კონცხიდან პირდაპირ ჩრდილოეთით და შემდეგ ყინულოვანი გზით მივალთ კატასტროფის რაიონში.

მიუხედავად დაბრკოლებებისა, შემიძლია ვსთქვა, რომ ჩვენი ენერგია ერთი წუთითაც არ შესუსტდება და ჩვენ მთელი ძალ-ღონით განვაგრძობთ მუშაობას. (ადს).

ნაპოვნი ჰაეროპლანის ნამსხვრევები „ლატამ"-ის არ აღმოჩნდა

ოსლო, 13 სექტემბერი. ტრომსედან მიღებული ცნობით, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ტრომსეს ნავთსადგომში ნახული ჰაეროპლანის ფრთის ნამსხვრევები არ ეკუთვნის [illegible] ეკუთვნოდეს გერმანულ ჰაეროპლანს, რომელმაც კატასტროფა განიცადა სამი დღის წინედ. ამ ჰაეროპლანების რემონტის შემდეგ დამტვრეული ნაწილები ზღვაში გადაჰყარეს. (ადს)

ცნობა „კრასინ"-იდან

ყინულისმჭრელი „კრასინ"-ი, 13 სექტემბერს ყინულის მჭრელზე აიტანეს ჩუხნოვსკის თვითმფრინავის ზოგიერთი ნაწილი. ქარის გამო გემი ძლიერ ირყევა, რაც ხელს უშლის თვითმფრინავის ატანას გემის ბანზე. (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესი

მოსკოვი, 14 სექტ. 13 სექტემბერს მთელი დღე გაგრძელდა კომისიის მუშაობა. 14 სექტემბერს დილით პლენარულ სხდომაზე ამხ. მორინგი გააკეთებს მოხსენებას სასპორტო მოძრაობის შესახებ. საღამოს ამხ. მელნიკოვი გააკეთებს მოხსენებას საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის და სოციალიზმის მშენებლობის შესახებ. (ადს)

მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1928-29 წლისათვის

მოსკოვი, 14 სექტემბერი. 12 სექტემბერს საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. **კოსიორის** მოხსენება მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ 1928-29 წლისათვის. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. კომისიებში დამუშავებულია ციფრები მთელი საკავშირო მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის, 1927-28 წელთან შედარებით, ითვალისწინებენ 20,1 პროც. (10.900 მილ.-დან 13.100 მილიონამდე); საქონლის პროდუქცია, მიმდინარე წელთან შედარებით, იზრდება 18,5 პროც. (8.400 მილიონიდან 9.900 მილ.-მდე), აქედან 19,1 პროც. მოდის მძიმე მრეწველობაზე და 18 პროც. მსუბუქ მრეწველობაზე.

საერთო საკავშირო მრეწველობაში მომუშავე მუშების რიცხვი იზრდება 5,1 პროც., ხოლო შრომის ნაყოფიერება—15 პროც. კაპიტალური ხარჯები ნავარაუდევია 2.100 მილიონი მან. რაოდენობით. კაპიტალური ხარჯების ზრდა, მიმდინარე წელთან შედარებით, უდრის 30 პროც.-ზე მეტს.

მრეწველობის წმინდა მოგება ნავარაუდევია 1.152 მილიონ მან. რაოდენობით, (მიმდინარე წელს კი მოგება შეადგენს 740 მილიონ მანეთს).

ამხ. კოსიორის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მრეწველობის ცალკე დარგების მთავარ სამმართველოთა წარმომადგენლებმა. ამხ. კუიბიშევმა, გაუკეთა რა ჯამი კამათს, აღნიშნა, რომ თუმცა აუცილებელია გაძლიერდეს მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდება, მაგრამ შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ზედმეტად დატვირთვა ამ ხარჯებით და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ხარჯების შეკვეცა. ამხ. კუიბიშევი შესაძლოდ სცნობს, რომ მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდება სახელმწიფო ბიუჯეტით (რომელიც საკონტროლო ციფრების მიხედვით ნავარაუდევია 1.300 მილიონ მან.) შეიძლება შემცირებულ იქნას 200 მილიონი მანეთით. ამისათვის საჭიროა მრეწველობამ პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 6 პროც. მრეწველობის მოგება შეიძლება გადიდებულ იქნას 30 მილიონი მანეთით.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, დაამტკიცოს საკონტროლო ციფრები და გადასცეს ისინი სახელმწიფო საგეგმო კომისიას. (ადს).

ჰიდროპლან „სოვეტსკი სევერი"-ის ძებნა

მთავრობის კომისიის სხდომა

მოსკოვი, 14 სექტემბერი ამხ. კამენევის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა მთავრობის იმ კომისიისა, რომლის მიზანსაც ჩრდილოეთის შესწავლა შეადგენს.

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი „სოვეტსკი სევერ"-ის ძებნის შესახებ. კომისიამ დაადგინა მიანდოს სამეცნიერო აკადემიას, რომ მან მოახდინოს თვითმფრინავის ძებნა იმ გამომკვლევი პარტიების საშუალებით, რომლებიც ყინულოვან ოკეანეს ნაპირებზე არიან. გემ „კოლიმა"-ს მიენდო დაზვეროს უელენსა და დიკსონს შუა მთელი სანაპირო ზოლი. კომისიამ განიხილა საკითხი თვითმფრინავის ბედის შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თვითმფრინავს არ შეეძლო ჩავარდნილიყო კრიტიკულ მდგომარეობაში. ამას გარდა, კომისიის აზრით საჭიროა გაიგზავნოს მონადირეთა რაზმი და ექსპედიცია ძაღლებით (ადს).

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა

მოსკოვი, 14 სექტემბერი. ამხ. უნშლიხტის თავმჯდომარეობით გაიმართა საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ჰიდროაეროპლანის „სოვეტსკი სევერი"-ს ძებნის საკითხი. სხდომა გახსნა ამხ. უნშლიხტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თუმცა ჯერ-ჯერობით არ არსებობს საფუძველი შიშისათვის ექსპედიციის ბედის გამო, მაგრამ მაინც საჭიროა სხვადასხვა ზომების მიღება ჰაეროპლანის მოსაძებნად. „სოვეტსკი სევერ"-ის გაფრენის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გროზამ, რომელმაც აღნიშნა შემდეგი: „სოვეტსკი სევერ"-იდან ცნობების მიუღებლობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ მთელი ზღვის ნაპირი უელენიდან დიკსონამდე მოკლებულია ყოველგვარ კავშირს, მაგრამ მიუხედავად ამისა თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა უშუალო კავშირი დაამყარა ადგილობრივ აღმასკომებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჰაეროპლანის აღმოჩენისათვის დაწესებულია პრემია 2.000 მანეთის რაოდენობით. საბჭოთა გემებს „სტავროპოლს" და „კოლიმს" და ამერიკულ გემს „ელიზიაფს" უკვე აქვთ ცნობა „სოვეტსკი სევერ"-ის დაკარგვის შესახებ და ისინი სცდილობენ მის მოძებნას. შემდეგი ღონისძიება ჰაეროპლანის გადასარჩენად იქნება დამხსნელი ექსპედიციის მოწყობა. თავდაცვა-ავიაქიმი გემ „ასტრახან"-ით ვლადივოსტოკიდან გაგზავნის დამხსნელ ექსპედიციას. გემ „ასტრახან"-ზე დატვირთული იქნება 2 ჰაეროპლანი, რადიო-დანადგართა მოწყობილობა ექსპედ. პერსონალი, საწვავი მასალისა და სურსათის მარაგი. „ასტრახანი" რამდენიმე დღის შემდეგ გავა ვლადივოსტოკიდან და გაემართება ანადირის მიმართულებით.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმმა დაამტკიცა დასახული ღონისძიებანი და დაარსა კომისია ჰაეროპლანის „სოვეტსკი სევერ"-ის დამხსნელი კომისია. კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. გროზა. (ადს).

მეორე გადამფრენი ექსპედიცია

მოსკოვი, 14 სექტემბერი. ჰაეროპლან „სოვეტსკი სევერის" დამხმარე კომისიის თავმჯდომარე ამხ. **გროზას** ცნობით, გადამრჩენი ექსპედიციის მოწყობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გადაწყვეტილია ექსპედიციის გაგზავნა ვლადივოსტოკიდან გემით „პრიმორიე". კომისია სასწრაფოდ არკვევს საკითხს: ამ გემით ორისა თუ მხოლოდ ერთი ჰაეროპლანის წაღება შეიძლება, რამდენად უზრუნველყოფილია „პრიმორიეს" უკან დაბრუნება ზღვის გაყინვამდე, აგრეთვე მისი წინსვლა თვით ანადირამდე იმ შემთხვევაში, თუ ექსპედიციის საავიაციო ნაწილის მომზადება შეფერხდება. კომისია არკვევს აგრეთვე საავიაციო ბაზის მოწყობის საკითხს ანადირში და ანადირსა და ჩრდილოეთის კონცხს შორის, საიდანაც ჰაეროპლანები დაზვერვას მოაწყობენ. კომისიის ყველა საოპერაციო განკარგულება სასწრაფოდ სრულდება. უკვე სდგება ექსპედიციის პირადი შემადგენლობა (ადს).

„სოვეტსკი სევერის" ეკიპაჟის შემადგენლობა

მოსკოვი, 14 სექტემბერი. „სოვეტსკი სევერის" ეკიპაჟში შედიოდნენ: ავიაქიმის ექსპედიციის მეთაური „სოვეტსკი სევერზე" ამხ. კრასინსკი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იკვლევდა ჩრდილოეთს. 1927 წელს იგი მეთაურობდა ავიაქიმის ექსპედიციას და გადაფრინდა ვრანგელის კუნძულზე, რისთვისაც მიიღო წითელი დროშის ორდენი. ამხ. ვოლინსკი—„სოვეტსკი სევერის" უფროსი მფრინავი, რომელსაც სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეჭირა საზღვაო ავიაციაში; ამხ. კოშელევი, მფრინავი, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე, ავიაციაში ეჭირა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა; დასაჩუქრებულია წითელი დროშის ორი ორდენით. 1927 წელს იგი გადაფრინდა ვრანგელის კუნძულზე; ამხ. როდზევიჩი, მფრინავი—მეთვალყურე; მას წითელ ფლოტში სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეჭირა. ამხ. ბორისენკო, მექანიკოსი; 1927 წლიდან უფროსი საავიაციო ტეხნიკოსი (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შავრაზმელები ესალმებიან ბრიანს

მოსკოვი, 14 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი **გაბრიელ პერი** იტყობინება შემდეგს:

დიპლომატიურ დისკუსიამ ერთა ლიგის სესიაზე ბრიანსა და მიულერს შორის დიდი არევ-დარევა გამოიწვია როგორც გერმანიის, ისე საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ეგრედწოდებულ ლოკარნოს შემარიგებელ პოლიტიკის მომხრეებს ჟენევის უკანასკნელ ამბებმა ნიადაგი გამოაცალა.

საფრანგეთის შავრაზმელები განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან ბრიანის სიტყვით და ულოცავენ მას გამარჯვებას.

ამნაირად საერთაშორისო ფაშიზმი ხელს უწყობს საერთო მტრობის ატმოსფერის გაძლიერებას.

„არ შეგვიძლია კომედიის მონაწილენი გავხდეთ"

მოსკოვი, 14 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი **გამმა** გადმოგვცემს:

პარტიის ძველი წევრები გარბიან სოციალ-დემოკრატების რიგებიდან, ისინი ერთხმად აცხადებენ: „არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ იმ კომედიაში, რომელსაც პარტია აწყობს"-ო. ამ დღეებში სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გავიდა ფუნკე, რომელიც 40 წელიწადია პარტიის წევრად ირიცხებოდა და ავტორიტეტით სარგებლობდა ორგანიზაციაში. ფუნკე უკვე კომუნისტური პარტიის რიგებში ჩაირიცხა.

ამიერ-კავკასიის სამეურნეო საპერსპექტივო გეგმა დაიწუნეს

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საკავშირო საგეგმო კომისიამ განიხილა ამიერ-კავკასიის მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმა. მოხსენება გეგმის შესახებ გააკეთა ამიერ-კავკასიის მუშაკმა ამხ. სმირნოვმა.

მოხსენების ირგვლივ გაცხოველებული კამათი გაიმართა. ორატორების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ გეგმა არ გამოხატავს ნორმალური სამეურნეო ზრდის იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც ეხლა ადგილი აქვთ ამიერ-კავკასიის მეურნეობაში. სხვებთან ერთად კამათში მონაწილეობა მიიღო პროფესორ ოსადჩიმ, რომელმაც სხვათა შორის, სთქვა შემდეგი:

წარმოდგენილი გეგმა არ შეიძლება ჩაითვალოს იმ სპეციფიურ გეგმად, რომელიც აუცილებელია ამიერ-კავკასიისათვის. გეგმაში გათვალისწინებული არაა ამიერ-კავკასიის მეურნეობის თავისებური პირობები. არ სჩანს მევენახეობა, ასევე უყურადღებოთ არის დატოვებული ჩაის კულტურა.

ოგანოვსკიმ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საპერსპექტივო გეგმაში დაჩრდილულია სასოფლო-მეურნეობა. საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გრინკოს აზრით ამიერ-კავკასიის სამეურნეო საპერსპექტივო გეგმა ხელახლა უნდა გადაისინჯოს. ამხ. გრინკოს აზრით გეგმის განსაკუთრებულ ნაკლს შეადგენს ის, რომ მასში გათვალისწინებული არაა ბამბის მოსავლის გადიდების საჭიროება. ეს მაშინ, როცა საფეიქრო მრეწველობა ასე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და მოთხოვნილება ნედლეულზე დღითი-დღე იზრდება. საფეიქრო მრეწველობის განვითარება უნდა ფეხდაფეხ მისდევდეს ბამბის მოსავლის ზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

გერმანიაში მიულერის ტაქტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია

ბერლინი, 14 სექტემბერი. გერმანიის პრესა დიდ თავდაჭერილობას იჩენს შექმნილი მდგომარეობის შეფასების დროს, მაგრამ ამ თავდაჭერილობაშიაც მოუსვენრობა გამოსჭვივის გერმანიის დელეგაციის ტაქტიკის გამო ჟენევაში. ხმებია, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულ წრეებშიაც უკმაყოფილებას იწვევს მიულერის ტაქტიკა ჟენევაში. ყველა წრეები, რომლებიც შტრეზემანის პარიზში გამგზავრების შემდეგ არ იწონებდნენ რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხის აღძვრას, აღნიშნავენ, რომ მიულერის თათბირობამ ევაკუაციის საკითხში დიდი მარცხი გამოიწვია გერმანიისათვის, სახელდობრ: იმის მაგიერ, რომ ლაპარაკი ყოფილიყო ევაკუაციის შესახებ ყოველგვარ პირობის გარეშე,— მოლაპარაკება სწარმოებს ახალდათმობათა შესახებ გერმანიის მხრით; ევაკუაციისა და მეტადრე მესამე ზონის ევაკუაციის საკითხი კი საბოლოოდ დაყენებულია უკანა რიგში (ადს).

კეშენდინი-საერთაშორისო თვალთმაქცობის ორგანიზატორია

ლონდონი, 14 სექტემბერი. მუშათა პარტიის დეპუტატმა რენი-სმიტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შემდეგი განაცხადა: კეშენდინის მიერ ჟენევაში წარდგენილი ციფრები ინგლისის შეიარაღების შესახებ გულდასმით არის შერჩეული და სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. „ჩვენი ერთ-ერთი პირველი ერი ვართ მსოფლიოში—განაცხადა კეშენდინმა—თვითეულ მცხოვრების შეიარაღებისათვის დახარჯული ფულის მხრით“. შემდეგ რენისმიტი ბრალად სდებდა კეშენდინს „საერთაშორისო თვალთმაქცობის ორგანიზატორობას“ (ადს).

კრესტინსკის დარბაზობა შტრეზემანთან

ბერლინი, 14 სექტემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „კისინგენიდან ბერლინში მიმავალი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრესტინსკი გზად ბადენ-ბადენში გაჩერდა და დღეს სადარბაზოდ ეწვია გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს შტრეზემანს, რომელიც ბადენ-ბადენში იმყოფება სამკურნალოდ“ (ადს).

„როტე ფანეს“ რედაქტორის დაპატიმრება

ვენა, 14 სექტემბერი. აქ დააპატიმრეს ავსტრიის კომპარტიის ორგანოს „როტე ფანეს“ პასუხისმგებელი რედაქტორი ცუკერი კომპარტიის მოწოდების გამოქვეყნებისათვის. მოწოდება მიმართავდა მუშებს— მოეწყოთ კონტრდემონსტრაცია იმ დემონსტრაციის წინაამდეგ, რომელიც 7 ოქტომბერს უნდა გამართოს რეაქციონურმა მოხალისე პოლიციურმა ორგანიზაციამ . ცუკერს ბრალად სდებენ სახელმწიფო ღალატს (ადს).

დირექტივები ბრიანს

პარიზი, 14 სექტემბერი. მინისტრთა საბჭომ მოისმინა ბრიანის მოხსენება ჟენევაში მოლაპარაკების შესახებ, მოიწონა მისი მოხსენება და აღნიშნა ზოგადი ხაზი ,რომელსაც ჟენევაში დაიცავს ბრიანი მომავალი მოლაპარაკების დროს რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხის შესახებ (ადს).

„იტალია“-ს დაღუპვის მიზეზებს იკვლევენ

რომი, 14 სექტემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „სახელმწიფო საჰაერო ფლოტში შემავალი დირიჟაბლის „იტალიის“ დაღუპვასთან დაკავშირებით, აგრეთვე დირიჟაბლის ექსპედიციის ზოგიერთი მონაწილის სიკვდილის გამო დანიშნულია საგამომძიებლო კომისია ადმირალი კანის თავმჯდომარეობით; კომისიამ უნდა გამოიძიოს მიზეზები, რომლებსაც მოჰყვა დირიჟაბლის დაღუპვა და აგრეთვე მასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და ამ ფაქტებთან დაკავშირებული შედეგები. (ადს).

ისმეთ-ფაშას განცხადება

ანგორა, 14 სექტემბერი. მალაციაში (ქურთისტანი) თურქეთის პრემიერმა ისმეთ-ფაშამ სიტყვა წარმოსთქვა შინაური და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ. ისმეთ-ფაშა შეეხო თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და განაცხადა: „ჩვენი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან კვლავ ძლიერდება და მას გულწრფელობა ახასიათებს ორსავე სახელმწიფოს შორის არსებობს მკვიდრი და კეთილი ურთიერთობა“ (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება გრძელდება

ვენა, 18 სექტემბერი. ზაგრებიდან იუწყებიან, კომუნისტების დაპატიმრება გრძელდება მთელ სამხრეთ-სლავიაში. ბელგრადში ხელახლა გაჩხრიკეს დამოუკიდებელი პროფკავშირების საბჭოს შენობა და მუშათა მოღვაწეების ბინები. გაჩხრეკას მოჰყვა მრავალი პირის დაპატიმრება (ადს).

ამერიკა ახმედ-ზოგუს ულოცავს

ვაშინგტონი, 14 სექტემბერი. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კულიჯმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ახმედ-ზოგუს მეფის ტიტულის მიღების გამო (ადს).

„უორკერს პარტი“-ს კანდიდატები

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების დროს „უორკერს პარტი“-ს კანდიდატებად წამოყენებულნი არიან? ფოსტერ პრეზიდენტის თანამდებობაზე და გიტლოუ—ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე (ადს).

ცნობა „კრასინიდან“

მოსკოვი, 14 სექტემბერი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტმა ამხ. სამოილოვიჩისაგან შემდეგი რადიოგრამა მიიღო: „ძლიერი ქარის გამო იძულებულნი გავხდით შეგვეჩერებინა ჩუხნოვსკის ჰაეროპლანის გაგზავნა“. (ადს).

შაუმიანის ძეგლი

ერევანი, 13 სექტემბერი. მალე დამთავრდება ტაძრის შენობის აღება აღმასკომის წინ, მოედანზე, სადაც უნდა დაიდგას სტეფან შაუმიანის ძეგლი.

ძეგლის საძირკველი 20 სექტემბერს ჩაიყრება (ადს).

რა ხდება უცხოეთში

ეგვიპტის დეპუტატთა პალატის პროტესტი*)

მაქვს პატივი სიტყვა-სიტყვით გაცნობოთ ეგვიპტის დეპუტატთა პალატის 1928 წლის ივლისის 28-ს სხდომის ოქმი.

ივლისის 28-ს, საღამოს ექვს საათზე, კაიროში შერეის სახლში(მუჰამედ ალის ქ. № 93) თავი მოიყარეს ეგვიპტის დეპუტატთა პალატის წევრებმა, რადგანაც სამინისტროს განკარგულებით პარლამენტის სასახლეს შეიარაღებული ძალების ალყა ჰქონდა შემორტყმული და ამგვარად გზები შეკრული იყო და პარლამენტის დარბაზში არავის უშვებდნენ.

სხდომას დაესწრო 130 დეპუტატი, აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტი.

თავმჯდომარემ შემდეგი რეზოლიუცია გამოაქვეყნა:

„ვილებთ რა მხედველობაში: რომ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეგვიპტის ხალხი თავის კონსტიტუციისათვის იბრძვის, რაიცა შეადგენს მის უწმინდეს უფლებას; რომ მან ეს კონსტიტუცია მოპოვებული აქვს როგორც ნაყოფი დაუცხრომელი ჯაფისა და მსხვერპლისა: რომ ეგვიპტის ხალხმა სავსებით დამოუკიდებელი, სვებედნიერი და ნაყოფიერ ცხოვრება დაიწყო, რადგანაც კონსტიტუცია უზრუნველჰყოფდა ხალხის აქტიურ მონაწილეობას საზოგადო საქმიანობაში, კანონების შემუშავებისა, მათ ასრულების და კონტროლის საქმეში, ყოველივე ეს ანიჭებდა ერს მშვიდობიანობას, აწმყოსა და მომავლისადმი რწმენას, ამავე კონსტიტუციამ შეარჩინა ეროვნულ სულს თავისი განსხვავებული სახიერება და თვისებანი, რაიცა თავისთავად წარმოადგენდა ეგვიპტის ხალხის სახელოვან ისტორიულ მემკვიდრეობას.

ვილებთ რა მხედველობაში: რომ ორივე პალატა,—სიმბოლიურად გამომხატველი ხალხის სუვერენობისა,—იმისათვის მუშაობდა,რომ ხელისუფლების აპარატი გაეწმინდათ იმ ბოროტებისაგან, რომელიც აღმოცენებული იყო აბსოლუტურ მთავრობათა დესპოტიზმის წყალობით, ეს ბოროტებანი ერთი-მეორეს მოსდევდენ ნაწილობრივ კონსტიტუციის შემოღებამდის, ნაწილობრივად 1925—26 წლებში, დეპუტატთა პალატის დათხოვნის დროს;

რომ, როცა დეპუტატთა პალატა ბიუჯეტზე თათბირობდა, მთავრობის მოქმედებას კონტროლს უწევდა და ქვეყნისათვის შესაფერ კანონებს ამუშავებდა, ხალხის უფლებასა და სუვერენობას იცავდა მისი ერთად ერთი მიზანი იყო ეგვიპტის ხალხს მიეღწია განვითარების იმგვარ დონემდის, რომელიც მისი ისტორიული წარსულის სიდიადეს შეეფერება, ისეთ სიმაღლემდის, როგორიც შესაფერი იქნებოდა მის ნიჭისა და უნარისათვის, რათა ეგვიპტის ხალხს შესაფერი ადგილი დაეჭირა განათლებულ ერთა შორის.

ვილებთ რა მხედველობაში: რომ როცა მშვიდობიანობამ თავისი კალთა ქვეყანას გადააფინა, 1928 წლის ივლისის 19-ს კონსტიტუციის შესაფერი რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა რამოდენიმე პირი—სახელდობრ აწინდელი სამინისტროს წევრები და მათ პროვოკაციული მიზნით გადატრიალება მოახდინეს, ამგვარად შეარყიეს ხალხის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება, მათ ხელი შეახეს ხალხის თავისუფლების სათავეს, საქვეყნოდ დაამახინჯეს მისი ხელმეორედ შობის სიდიადე, კონსტიტუცია გააუქმეს, პარლამენტი დაშალეს და კონსტიტუციით უზრუნველყოფილი თავისუფლება შელახეს, კანონმდებლობით ძალაუფლების უზურპაცია ჩაიდინეს, ტერორი და დესპოტიზმი გაბატონეს მხარეში და ხალხის წარმომადგენლებს აღუკვეთეს პარლამენტის დარბაზში შესვლის უფლება.

ვილებთ რა მხედველობაში: რომ ამ მინისტრების მიერ პროვოკაციული განზრახვით გამოქვეყნებული 19 ივლისით დათარიღებული ბრძანება ორივე პალატის გაუქმების შესახებ, თავისთავად არარაობაზე უფრო დიდი არარაობაა, ვინაიდან კონსტიტუციის 81 მუხლის ძალით სენატის გაუქმება შეუძლებელი საქმეა და პარლამენტის გაუქმების აქტები მხოლოდ მაშინაა კანონიერი, როცა იგი შეიცავს ამრჩევლთა მოწვევას ახალი არჩევნებისათვის, რისთვისაც ორი თვის ვადა უნდა იქნეს დაწესებული, როცა ამ აქტებით მიწვეული იქნება ახალ პალატა არჩევნებს შემდეგ ათი დღის განმავლობაში 89 მუხლის ძალით; რომ თუ დათხოვნის აქტები ზემოხსენებულ მოწვევათ არ გულისხმობს, ისინი არსებითად უსაფუძვლოდ და არარაობად ჩაითვლებიან.

ვილებთ რა მხედველობაში: რომ სამი წლით დეპუტატთა პალატის დათხოვნა, რომელიც ამ ვადის შემდეგ შესაძლოა ისევ განმეორდეს თავისთავად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველ მუხლს, რომლის მიხედვითაც თავისთავად მართველობის ფორმა უფლება მოსილობას მოკლებულია, რომ იგი 155 მუხლსაც ეწინააღმდეგება, ხოლო ამ მუხლის მიხედვით შეუძლებელია რაიმე მოსაზრებით რომელიმე დადგინების გაუქმება, თუ არ ომისა და საალყო წესების დროს, ხოლო საალყო წესების შემოღება მე-45 მუხლის ძალით შესაძლოა დაწესდეს მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის დასტურის შემდეგ.

ვილებთ რა მხედველობაში: რომ კონსტიტუციონალი კანონმდებლობის 155 მუხლის ძალით,კონსტიტუციით დადგენილ პირობებში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პარლამენტის წევრების შეკრების აკრძალვა.

ვილებთ რა მხედველობაში: რომ 24 მუხლის ძალით, კანონმდებლობითი ძალაუფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ მეფეს, როცა იგი სენატთან და დეპუტატთა პალატასთან შეთანხმებულად მოქმედებს და რომ მე-25 მუხლის ძალით არ შეიძლება რომელიმე კანონის შემოღება, უკეთუ ეს კანონი პარლამენტის მიერ შეწყნარებული არ იქნა, და თუ მეფემ არ დაადასტურა.

ზემოდ-მოხსენებულ მოსაზრებით დეპუტატთა პალატა ღებულობს ამ დადგენილებებს:

1. პარლამენტი არ ითვლება დათხოვნილად და იგი კონსტიტუციის ძალით განაგრძობს მუშაობას.
2. დღევანდელი სამინისტრო გამოცხადებულია როგორც კონსტიტუციისა და დეპუტატთა პალატის წინააღმდეგ მეამბოხე და დეპუტატთა პალატა უნდობლობას უცხადებს მას, ამიტომაც სამინისტრო მოვალეა თავად გადადგეს.
3. ყოველი, სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული კანონი, უსაფუძვლოა და ძალას მოკლებული.
4. ყოველგვარი საპოლიტიკო, საფინანსო საეკონომიო შეთანხმება, თუ პირობა, რომელსაც დასდებს სამინისტრო უცხო სახელმწიფოებთან, ან კერძო პირთან, სახელდობრ: ყველა კონსტიტუციის მეთოთხე თავში გათვალისწინებული შეთანხმებანი, აგრეთვე ყველა მართველობითი ხასიათის აქტები უნდა ჩაითვალნენ გაუქმებულად და ისინი ვერავითარ პასუხისმგებლობას დააკისრებენ ერს.

დეპუტატთა პალატა თავის თავმჯდომარის მოწოდებაზე საკუთარი ნებით შეიკრიბება 1928 წლის ნოემბრის მესამე კვირაში, უკეთუ რაიმე გარემოებამ არ მოითხოვა ამ ვადაზე ადრე შეკრება.

ამ დადგენილებებს კენჭი ეყარა და დამსწრე დეპუტატების მიერ ერთხმად მიღებულ იქმნა დეპუტატებმა ფიცი დასდვეს: ყოველი ღონე იღონონ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდის დაიცვან კონსტიტუცია.

დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე
ვისსა ვასეფი.
კაირო, ივლისის 30-ს.

---

*) «ბერლინერ ტაგებლატ“-ის № 359-ში დაბეჭდილია ეგვიპტის პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ამ გაზეთში გაგზავნილი ტექსტი დადგენილებისა,რომელიც მიიღო გარეკილი პარლამენტის წევრების კრებამ. ჩვენს მკითხველებს ემახსოვრება თუ რა პირობებში მოხდა პარლამენტის დათხოვნა. ვაქვეყნებთ ამ დადგენილებას, როგორც დოკუმენტს.

შეთანხმება ფინეთის ხის დამმუშავებელთა კავშირთან

მეგობრობისა და ურთიერთი დახმარების ხელშეკრულება

მოსკოვი, 14 სექტემბერი. ხეზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ ფინეთის ხეზე მომუშავეთა კავშირმა დაამტკიცა ამ ორი ქვეყნის კავშირების მეგობრობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება. (ადს).

პარტიის გაერთიანება ლენინის ინსტიტუტთან

მოსკოვი, 13 სექტემბერი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გაერთიანოს პარტიისა და ლენინის ინსტიტუტი მთლიან დაწესებულებად.—ცენტრალური კომიტეტის განყოფილებად ამ ახალ დაწესებულებას ეწოდება „ლენინის ინსტიტუტი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან“. ლენინის ინსტიტუტის ამოცანებს შეადგენს: შესწავლა ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, ლენინიზმის საკითხებისა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) და კომუნისტური ინტერნაციონალის ისტორიისა. ინსტიტუტის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება ინსტიტუტის დირექციას. ინსტიტუტს აქვს შემდეგი განყოფილებები: სამეცნიერო-საგამოკვლევო და სარედაქციო-საგამომცემლო, არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ადგილობრივი პარტიების განყოფილებები (ადს).

სახელმწიფო-საშემოსავლო გადასახადის კანონის შეცვლა

მოსკოვი, 13 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს კანონპროექტი სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის კანონის შეცვლის შესახებ.

ეს ცვლილებები გამოიწვია იმან, რომ რაც შეიძლება სრულად იქნას გათვალისწინებული გადასახადის გამღების ყოველი შემოსავალი და აცილებულ იქნას თავიდან კერძო ვაჭრის ის ხრიკები, რომლებსაც მიმართავს საფინანსო ორგანოების შეცდომაში შესაყვანად.

ფისკალური მიზნებისათვის დადგენილება სცვლის გადასახადის აკრეფის არსებულ წესს, რომლის ძალითაც გადასახადის აკრეფა სწარმოებდა გადასახადის გამღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; კანონპროექტის ძალით კი, იურიდიული და კერძო პირები, რომლებსაც შემოსავალს აძლევს სავაჭრო და სამრეწველო საწარმო, იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით იქ, სადაც მათი გამგეობანი და საწარმონი არიან.

მუშებისა, მოსამსახურეებისა და სახელმწიფო პენსიონერების შემოსავალი იბეგრება სამსახურისა და პენსიის მიღების ადგილის მიხედვით.

დანარჩენი გადამხდელებისა და აგრეთვე მუშებისა, მოსამსახურეებისა და სახელმწიფო პენსიონერების სხვა შემოსავალი, გარდა ხელფასისა და პენსიისა, იბეგრება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დადგენილება სცვლის აგრეთვე შემოსავლის დაბეგვრის წესს. აქამდე საშემოსავლო გადასახადის გამოღება სწარმოებდა მხოლოდ [illegible] წლის შემოსავლის მიხედვით. დადგენილება ითვალისწინებს გადასახადის აღებას ავანსად მიმდინარე წლის შემოსავლის მიხედვით (ადს).

საბჭოთა კავშირში

სესხის განაღდების განსაკუთრებული გამარჯვება ლენინგრადში

ლენინგრადი, 14 სექტემბერი. ლენინგრადში განსაკუთრებულის წარმატებით მიმდინარეობს სესხის განაღდების საქმე. ლენინგრადმა უკვე მთელი 100 პროცენტით დაფარა დავალება. ამის გამო სესხის რეალიზაციის დამხმარე კომისიას საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმში შეაქვს წინადადება, რათა დავალების საკონტროლო ციფრი გადიდებულ იქნას 7 მილიონი მანეთის რაოდენობით (ადს).

ბეჭდვითი ნაწარმოები საგარეო ბაზარზე

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, ნება დაერთოს სახელგამს გაიტანოს თავისი ბეჭდვითი ნაწარმოები საგარეო ბაზარზე. (ადს).

შავი ზღვის ფლოტის მანევრები

სევასტოპოლი, 14 სექტემბერი. შავი ზღვის ფლოტის მანევრებში მონაწილეობას იღებენ მუშათა რაზმები, აგრეთვე კომინტერნის კონგრესის ის დელეგატები, რომელნიც სევასტოპოლში იმყოფებიან (ადს).

ამხ. სმირნოვის 50 წლის იუბილე

ნალჩიკი, 14 სექტემბერი. დაღესტნის რესპუბლიკის, ყარაჩაევის ავტონომიური ოლქის, უდიგეის ავტონომიური ოლქისა და თერგის ოლქის წარმომადგენლების თანდასწრებით აღნიშნულ იქნა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საკავშირო კომპარტიის ცეკას მდივნის ამხ. სმირნოვის დაბადებიდან 50 წლის შესრულება. ამხ. სმირნოვი ამჟამად ყაბარდო-ბალკარის ოლქში იმყოფება (ადს).

დაღუპული სიმდიდრე

სიმფეროპოლი, 14 სექტემბერი. ქერჩის ნავთსადგურში გემთსადგომის ფსკერზე აღმოჩენილ იქნა დიდძალი ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და სამხედრო მოწყობილება. ყველაფერი თეთრებმა გადაყარეს ზღვაში ყირიმიდან გაქცევის დროს 1920 წელს. ამ ქონების ნაწილი უკვე მოყვანილია წესრიგში და გამოყენებული იქნება (ადს).

ტკეჩის წარმოების გაძლიერება

მოსკოვი, 14 სექტემბერი. იმპორტის შემცირების მიზნით, საბჭოთა კავშირის ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გააძლიეროს ტკეჩის წარმოება ბათომისა და ბორჯომის ქარხნებში. ტკეჩის დამზადებამ მომავალ წელს უნდა მიაღწიოს 1 მილიონ კომპლექტამდე, ხოლო 1929—30 წელს 1.200 ათას კომპლექტამდე. (ადს).

მებამბეობის კამპანიის პერსპექტივები

მოსკოვი, 14 სექტემბერი. მებამბეობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გამიევმა სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოში გააკეთა მოხსენება მებამბეობის კამპანიის პერსპექტივების შესახებ 1928—29 წელს.

„ძირითადი საკითხი,—სთქვა მომხსენებელმა,—რომელიც ეხლა აინტერესებს საფეიქრო მრეწველობას, არის ბამბის ის რაოდენობა, რომელიც მას შეუძლია მიიღოს. ამ რაოდენობის გამორკვევა ამჟამად შეუძლებელია. ვინაიდან ბამბის მოსავალი დამოკიდებულია უახლოესი თვეების მეტეოროლოგიურ პირობებზე. მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსავალი შარშანდელზე ნაკლები არ იქნება. საბოლოო ციფრობრივი ცნობები მოსავლის შესახებ შეიძლება გვქონდეს 15 ოქტომბრის შემდეგ, როცა ბამბის ნათესს არავითარი საფრთხე აღარ მოელის. მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა მიიღო ზომები ბამბის გაწმენდისა და ფაბრიკებში სასწრაფოდ მიტანისათვის. მებამბეობის მთავარი კომიტეტი საჭიროდ სცნობს გაძლიერდეს სამრეწველო საქონლის და, განსაკუთრებით, პურის შეტანა მებამბეობის რაიონში“. (ადს).

კიევის მანევრები

ამხ. ვოროშილოვი კიევში

კიევი, 14 სექტემბერი. ამხანაგი ვოროშილოვი გაეცნო მოსამზადებელ მუშაობას ქალაქის საჰაერო თავდაცვისათვის. საჰაერო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. რეკისმა დაწვრილებით გააცნო ამხ. ვოროშილოვს ღონისძიებანი ქალაქის საჰაერო „შეტევისათვის“ მოსამზადებლად. ამის შემდეგ ამხ. ვოროშილოვმა დაიარა ქალაქის ცალკე რაიონები, რომლებიც თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენდნენ. კრასნოზნამენსკის ქარხნის დათვალიერების დროს ის შეხვდა თავის ძველ ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად იმყოფებოდა ფრონტზე. ამხ. ვოროშილოვს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მათთან და გამოჰკითხა მათ შრომის პირობების შესახებ. (ადს).

კიევზე საჰაერო ქიმიური თავდასხმის შედეგები

კიევი, 14 სექტემბერი. საჰაერო თავდაცვისა და მანევრების ხელმძღვანელობის უფროსმა ამხ. მედვედევმა უკრაინის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში კიევზე საჰაერო-ქიმიური თავდასხმის შედეგების შესახებ განაცხადა:

„კიევში ჩატარებული ქალაქის საჰაერო-ქიმიური თავდაცვა—სთქვა ამხ. მედვედევმა,—დიდი გამოცდაა არა მარტო მართველობის ორგანოებისათვის და მტრისაგან კიევის დასაცავ საშუალებათათვის, არამედ, ვიტყვით, მთელი ქალაქისათვის მთლიანად. მმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის წინაშე დასმული ამოცანები მეტად ძნელი იყო. „მტრის“ თავდასხმა მოხდა იმ დროს, როდესაც ქალაქში ცხოვრება განსაკუთრებით გამძაფრებული იყო. მიუხედავად ამისა, შეიძლება გარკვეულად ითქვას, რომ გამოცდა საერთოდ კარგად ჩატარდა და მან გამოაშკარავა, რომ ამჟამად კიევში გვაქვს მტკიცე ორგანიზაცია, რომელიც ომის პირობებისათვის დაცვის საიმედო გარანტიას წარმოადგენს“. (ადს).

საჰაერო ფლოტი კიევის მანევრებში

კიევი, 14 სექტემბერი. მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსმა საკ. დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში სთქვა:

„საჰაერო ფლოტმა დიდი მუშაობა ჩაატარა წრეულს მანევრების დროს. საჰაერო ფლოტს მრავალი სერიოზული ამოცანა დაეკისრა. მიუხედავად მეტად მძიმე პირობებისა, ავიაციამ ბრწყინვალედ შეასრულა ყველა ამოცანა. საჰაერო ფლოტის ზოგიერთმა ნაწილმა პირდაპირ ვირტუოზობა გამოიჩინა მტრის წინააღმდეგ იერიშის მიტანის დროს მცირე სიმაღლეზე. ვფიქრობ, რომ ჯარის სარდლობამ ჯეროვანად დააფასა თავდადებული მუშაობა ჩვენი წითელი მფრინავებისა, რომელნიც ხშირად საფრთხეში ვარდებოდნენ გაბედული ევოლიუციების დროს. 12 სექტემბერს საჰაერო ფლოტის ნაწილებს დაევალათ იერიში მიეტანათ კიევზე. ეს ამოცანა შეასრულა თვითმფრინავთა რამდენიმე ჯგუფმა. მათ რამდენჯერმე შემოუარეს ქალაქს ფრენით „ყუმბარების სასროლად“. გარდა ამისა, რამდენჯერმე იერიში კიევზე ღამით იქნა მიტანილი. აღსანიშნავია რომ ჩვენი თვითმფრინავები მიუხედავად მრავალი პროჟექტორისა, ხშირად ან სრულიად შეუმჩნევლად აგრძელებდნენ წინსვლას, ან განათებული ზოლიდან თავს დაღწევას (ადს).

მავნე მჭერმეტყველება

ერთა ლიგის ხელმძღვანელებს, როგორც ცნობილია, არ უყვართ საკითხების პირდაპირ დასმა ამგვარი ტაქტიკა აღშფოთებს მათ და ხშირად იწვევს ისეთი პასუხის გაცემას, რომელიც სასაცილო მდგომარეობაში აყენებს მის ავტორებს.

სწორედ ამგვარ სიტუაციას ჰქონდა ადგილი ამ დღეებში ერთა ლიგის პლენუმზე როცა ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებს და, განსაკუთრებით, ბრიანს პირდაპირ დაუსვეს ორი საკითხი: რეინის ოლქის ევაკუაციის და განიარაღების საკითხი.

ბრიანმა მოახერხა რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი გადაეტანა დაინტერესებულ სახელმწიფოთა თათბირზე განსახილველად და „ამით ეს არასასურველი საკითხი ამოშალა ოფიციალური დღის წესრიგიდან“, სამაგიეროდ განიარაღების საკითხი უფრო სახიფათო გამოდგა.

თუ რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხზე ბრიანს უნდა ეპასუხნა მარტო მიულერისათვის, განიარაღების საკითხზე საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს მხედველობაში უნდა მიეღო არა მარტო მიულერის ძირითადი სიტყვა, არამედ მრავალი სხვა ორატორის გამოსვლა. ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბელენდს ვან-ბლოკ-ლენდი, ავსტრიის პრემიერი ზეიპელი, ირლანდიის წარმომადგენელი ბლიტი და, ბოლოს, ნორვეგიის გარეშე საქ. მინისტრი მოვინკელი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმის მტკიცებაში, რომ განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მუშაობა უნაყოფოა, და მოითხოვდნენ უფრო გადამჭრელ ნაბიჯებს ამ საქმეში.

ბრიანი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ბრიანმა, როგორც ისეთი მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც სისტემატიურ წინააღმდეგობას უწევს შეიარაღების ყოველგვარ შემცირებას, ნაწილობრივ შემცირებასაც კი, ვერც ერთი არგუმენტი ვერ წამოაყენა თავისი პოზიციის დასაცავად. რათა რაიმე გამოსავალი გამოენახა, იგი შეეცადა ეს საკითხი მიეფუჩეჩებინა ისეთი არგუმენტების საშუალებით, რომელიც იმოქმედებდა იქ მყოფთა, თუ ლოღიკაზე არა, გრძნობაზე მაინც. ამგვარი არგუმენტის როლი ბრიანისათვის, რასაკვირველია, უნდა ეთამაშნა „წითელი არმიის შეიარაღებას“.

დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ეს „არგუმენტი“ მოძველდა. დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ბრიანის ფორმულა არ შეეფერება სინამდვილეს.

მნიშვნელობა აქვს სულ სხვა რამეს. ბრიანისათვის, როგორც ყოფილი სოციალისტისათვის, ცნობილია გამოთქმა „ბურჟუაზიის დაფრთხობა“. მან იცის აგრეთვე ამგვარი „დაფრთხობის“ ფსიქიური მოქმედება. სწორედ ეს მეთოდი გამოიყენა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა იმისათვის, რომ ერთა ლიგის ყურადღება გადაეტანა „წითელ საფრთხეზე“. სავსებით სწორად სწერს „ლავორო დიტალია“ ბრიანის ანტისაბჭოთა დივერსიაზე, რომელსაც მან „მიმართა იმ მიზნით, რომ წმინდა ბურჟუაზიულ წარმომადგენლების კრებაზე შთაბეჭდილება მოეხდინა“.

ბრიანმა კარგად იცის, რომ წითელი არმიის შეიარაღება უმნიშვნელოა იმ გაფითრებულ და არაჩვეულებრივ შეიარაღებასთან შედარებით, რომელსაც სისტემატიურად აფართოებენ კაპიტალისტური სახელმწიფოები, კერძოდ საფრანგეთი და მისი მოკავშირენი. მაგრამ თუ ბრიანს მაინც აძლევს თავის-თავს ნებას ასე დაამახინჯოს სინამდვილე, მისთვის ერთგვარ გამართლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მას სწორი და ნამდვილი ინფორმაცია არა აქვს საბჭოთა კავშირზე და რომ ამ ინფორმაციის წყაროს შეცდომაში შეჰყავს იგი.

თავი რომ დავანებოთ იმ დავას, თუ ვინ უფრო სწრაფად იარაღდება და ვისი არმია უფრო ძლიერია, მაშინაც კი შეიძლება ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ არგუმენტაციას განიარაღების საკითხის გადაწყვეტის დროს. როგორიც არ უნდა იყოს წითელი არმიის ძალა, სწორედ საბჭოთა კავშირის მთავრობამ შეიტანა წინადადება არმიების და მათ შორის წითელი არმიის დაშლის შესახებ. ხოლო საფრანგეთის მთავრობამ, რომლის წარმომადგენელიც ბრიანი იყო, არ მიიღო ეს წინადადება. როგორიც არ უნდა იყოს საბჭოთა კავშირის შეიარაღება, სწორედ საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომ ეს შეიარაღება მოსპობილ იქნას სავსებით ან ნაწილობრივ მაინც. ხოლო საფრანგეთის დელეგაცია პოლ ბონკურის მეთაურობით ყოველგვარი საშუალებით შეეცადა, რომ ეს წინადადება უარეყოთ.

მაშ ვინ აბრკოლებს განიარაღების საქმეს? საბჭოთა კავშირი თუ საფრანგეთი და მისი დამქაშები?

პასუხი ამგვარ კითხვაზე ძნელი არ არის ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის, რა სოციალურ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს იგი.

ნუ თუ ბრიანი ფიქრობს, რომ ამგვარი ცარიელი სოფიზმებით შესძლებს მოახდინოს რაიმე გავლენა არა თუ მთელი მსოფლიოს ფართო მასებზე, არამედ ერთა ლიგის სხდომის დარბაზში მყოფ „კეთილშობილ მსმენელებზე“.

მჭერმეტყველებას, ისე, როგორც ყოველგვარ სხვა სიკეთეს, თავისი საზღვარი აქვს, რომელიც არ უნდა გადალახოს ბრიანმაც კი.

რუსული ანდაზა ამბობს: „Куда конь с копытом, туда и рак с клешней“. ეს ანდაზა გვაგონდება ზალესკის ახალი გამოსვლის გამო, ზალესკისა, რომელმაც ვერ მოითმინა შთაბეჭდილებანი ვენის გაზეთის კორესპონდენტისათვის არ გაეზიარებია თავისი აზრები საბჭოთა კავშირის მნიშვნელობის შესახებ განიარაღების საქმისათვის. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩვეულებრივი რიხით განაცხადა: „საბჭოთა კავშირი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს საერთო მშვიდობიანობისა და განიარაღების გზაზე“-ო.

უკანასკნელ ხანებში ზალესკი დიდ ნაყოფიერებას იჩენს თავისი აზრების გამოაშკარავების საქმეში. მალე ევროპაში, ალბად, აღარ დარჩება არც ერთი ქალაქი, რომელსაც ზალესკი გავლის ან შეჩერების დროს არ გააბედნიერებს თავისი ინტერვიუთ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ეს ინტერვიუ გასაოცარი მონოტონობით იმეორებს ერთსა და იმავეს. მნიშვნელოვანია (ალბად ზალესკისათვის) ის, რომ ევროპას საშუალება აქვს „დარწმუნდეს“, თუ როგორ როლს თამაშობს პოლონეთი საერთაშორისო პოლიტიკაში. ჩვენ ეჭვი შეგვაქვს იმაში, რომ ზალესკის ინტერვიუმ ევროპის საზოგადოებრივ აზრზე მოახდინოს ისეთი გავლენა, როგორიც მისთვის არის სასურველი.

მუდამ ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს დაბრკოლებას განიარაღების საქმეში, ეკუთვნის იმ სოფიზმების რიცხვს, რომელთა ეფექტიც ნულს უდრის. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა არა მარტო პაციფისტური დეკლარაციები, არამედ მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცადა დაეძრა მკვდარი წერტილიდან განიარაღების საკითხი, საეჭვოა, რომ ვინმე წამოეგოს ზალესკის ანკესზე. ეს მით უფრო ნაკლებ არის შესაძლებელი, რომ პოლონეთის წარმომადგენლის ამგვარი განცხადება სავსებით ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

საჭიროდ ვსთვლით აშკარად განვაცხადოთ, რომ მშვიდობიანობაზე ლაპარაკის ყველაზე ნაკლები უფლება ევროპის სახელმწიფოებს შორის აქვს პოლონეთს. სწორედ პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს არავითარი ეთქმის ამაზე, და უმჯობესია მისთვის ჩაჩუმდეს. რაც უფრო მეტ ინტერვიუს გამოაქვეყნებს ზალესკი, მით უფრო ნაკლებად ამოიფხვრება მთელი მსოფლიოს შეგნებიდან ის ფაქტი, რომ სწორედ პოლონეთია ძირითადი კერა, ყოველგვარი პერტურბაციებისათვის ევროპაში. რაც უფრო მეტს ილაპარაკებს ზალესკი მშვიდობიანობაზე, მით უფრო ნაკლები შანსი იქნება მას მოსპოს ან შეამციროს ის შიში, რომელსაც პოლონეთი იწვევს მთელი მსოფლიოში, რადგან ყოველ წუთს მოელიან ომის დაწყებას მის მიერ.

პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის არავითარ ინტერვიუს არ შეუძლია აღმოფხვრას ის ფაქტი, რომ არც ერთ ქვეყანას მსოფლიო ომის შემდეგ არ ჩაუგდია ხელში ამდენი ტერიტორია, სადაც სისტემატიურად სდევნიან სხვა ეროვნებათა მოსახლეობას. ევროპის არც ერთ ქვეყანაში არა აქვს ადგილი ეროვნული უმცირესობის ისეთ ჩაგვრას, როგორიც პოლონეთშია, რომელიც ამ მხრივ მეფის რეჟიმის ღირსეული მემკვიდრეა. ეს მსგავსება მეფის რეჟიმთან შეიძლება გაფართოებულ იქნას, ვინაიდან პოლონეთს თავისი საგარეო პოლიტიკის საშუალებით, რომელიც ავანტიურისტული ზრახვებით არის სავსე, შეუძლია იქონიოს იმედი, რომ მიიღოს ის ტიტული— საერთაშორისო ჟანდარმის ტიტული, რომლითაც ყოველთვის დაჯილდოებული იყო მეფის რეჟიმი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რუმინეთის გარდა ვერავინ ვერ შეეცილება პოლონეთს ამ საპატიო ტიტულში, რომლის მიღებასაც ცინიკური გულახდილობით სცდილობს ზალესკი თავისი ინტერვიუების საშუალებით.

გასაკვირველი არ არის, რომ პოლონეთი, რომლის პრესა, ალბად, არ კმაყოფილდება სხვა ეროვნებებით დასახლებული ტერიტორიების პოლონეთთან შეერთებით, კვლავ განიხილავს ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდების გეგმას, ამიტომაც ყველაზე უფრო ეწინააღმდეგება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპის პაციფიკაციას და მის განიარაღებას.

სწორედ იმიტომ, რომ დაფაროს ამ პაციფიკაციისათვის წინააღმდეგობის გაწევა, პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი აუცილებლად სცნობს კვლავ განმეოროს უშინაარსო გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ყველას უმტკიცოს, რომ „საბჭოთა კავშირი დაბრკოლებას წარმოადგენს განიარაღებისა და მშვიდობიანობის გზაზე“.

დასასრულ, გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ ფაქტზე, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობასთან. ამ ურთიერთობის ისტორიაში შეიძლება მოვნახოთ მრავალი მაგალითი, როცა პოლონეთის მთავრობა სცდილობდა მოეჩვენებია ჩვენთვის, რომ იგი სერიოზულად ფიქრობს შეუდგეს თავისი ურთიერთობის მოგვარებას საბჭოთა კავშირთან, როცა პოლონეთი განიცდის ამა თუ იმ დაბრკოლებებს საგარეო პოლიტიკაში, იგი ამგვარი ხრიკებით სცდილობს მოახდინოს ზეგავლენა დიდ სახელმწიფოებზე, რომლებიც სრულებითაც არ არიან დაინტერესებულნი პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესებაში,—ან გერმანიისაგან მიიღოს რაიმე კომპენსაცია მოლაპარაკების განახლების დროს. ამგვარ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ავრცელებენ ხოლმე ხმებს პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ სავაჭრო ან საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად. ხოლო პოლონეთის პრესა სწყვეტს მორიგ ანტი-საბჭოთა კამპანიას და იწყებს წერას, რომ დროა ბოლოს და ბოლოს შეუდგეთ ურთიერთობის მოგვარებას საბჭოთა კავშირთან. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ამგვარი მანევრი აღარ არის საჭირო, პოლონეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ ისევ ძველ პოზიციას უბრუნდება. პოლონეთის პრესის კამპანია საბჭოთა კავშირში პოლონეთის მრეწველთა ჩამოსვლის გამო წარმოადგენს იმ მანევრის განმეორებას, რომელიც ზემოდ დავახასიათეთ.

განა შეიძლება მრავალი ასეთი გამოცდილების შემდეგ პოლონეთის დიპლომატიის მანევრი შევაფასოთ სხვაგვარად? თუ პოლონეთის მრეწველებს, როგორც ამას აღიარებს „გლოს პრავდა“-ც კი გულთბილად ხვდებიან საბჭოთა კავშირში, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ დაბრკოლებას საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დაახლოების საქმიში ვქმნით არა ჩვენ, არამედ პოლონეთის დიპლომატია.

ჩვენ ვესალმებით ყოველგვარ ცდას, რომ გაფართოებულ იქნას კავშირი ორ სახელმწიფოს შორის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამგვარი გაფართოება და კავშირის განმტკიცება არ შეიძლება მიღწეულ იქნას იმ მეთოდებით, რომლებსაც პოლონეთის დიპლომატია მიმართავს. ამგვარი მეთოდები ცუდ სამსახურს გაუწევენ ნამდვილი და არა თვალთმაქცური დაახლოების პოლიტიკას.

პოლონეთის დიპლომატიის მანევრები საბჭოთა კავშირის მიმართ გამოწვეულია იმ მარცხით, რომელიც პოლონეთმა განიცადა უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო სარბიელზე. ამ მარცხმა მაინც უნდა დაარწმუნოს პოლონეთის პოლიტიკოსები, რომ პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება შეუძლებელია ისე, თუ მოგვარებული არ იქნება მისი ურთიერთობა აღმოსავლეთის მეზობლებთან. ხოლო ამ ურთიერთობის მოგვარება შეიძლება არა გარეგნული ეფექტის მომხდენი დემონსტრაციებით, არამედ სერიოზული მუშაობით იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომელნიც პოლონეთსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენენ, სერიოზული მუშაობით ისეთ პირობებში, როცა, რასაკვირველია, ადგილი აღარ ექნება პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის ანტი-საბჭოთა მონოტონურ გამოსვლებს.

„იზვესტია“, 13 სექტემბერი.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზნავთის ექსპონატები სპარსეთ-საბჭოთა გამოფენისათვის

ბაქო, 13 სექტემბერი. ნავთის სინდიკატმა თავრიზში სპარსეთ-საბჭოთა საქონლის მუდმივ გამოფენაზე გაგზავნა ყველა იმ პროდუქტების ექსპონატები, რომლებსაც აზნავთი ამზადებს. (ადს).

ქვემო ზურნაბადის ჰიდროსადგური

ბაქო, 14 სექტემბერი. ქვემო ზურნაბადის ჰიდროელსადგურის აგება მთავრდება. შენობა და მოწყობა თითქმის დამთავრებულია და მხოლოდ დასადგმელია ორი ტურბინა და ორი გენერატორი, რომლებიც დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში და უკვე გამოგზავნილია.

ოქტომბრის განმავლობაში შეუდგებიან ტურბინების დადგმას და სადგურის მონტაჟს.

სადგური 1929 წლის დამდეგს ამუშავდება ჰიდროელსადგური ენერგიას მიაწვდის სართავ-საქსოვ ფაბრიკას, საქონლის ჭირთან მებრძოლ სადგურს, ზოოტექნიკურ სადგურს და ბარიტის წისქვილს, რომელიც ამჟამად შენდება.

სადგურის აგება და მოწყობა დაახლოებით 2 მილიონი მანეთი დაჯდა. (ადს).

სომხეთი

ამხ. ავაქიანისა და აკოფიანის დაღუპვის გამო

ერევანი, 14 სექტემბერი. საღამოს 5 ნახ. საათზე კარაკლისიდან ერევანში მოასვენეს ამხ. ავაქიანის და აკოფიანის ცხედარი. ქალაქის სადგურზე განსვენებულებს შეხვდნენ: მთავრობის წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კოლექტივები და გარნიზონის ნაწილები. სამოქალაქო პანაშვიდზე ამხ. **ხანჯიანმა** პარტიის ც. კ.-ის სახელით, ამხ. **სედრაკ სარქისიანმა** პარტიის ერევნის კომიტეტის სახელით, ამხ. **მრავიანმა**—ცაკისა და სახ. კომისართა საბჭოს სახელით და **მაკედონსკიმ** სახ. პოლიტიკურ სამმართველოს სახელით სიტყვა წარმოსთქვეს და დაახასიათეს დაღუპულთა ღვაწლი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე; მათ პირობა დასდეს, რომ იმ საქმეს, რომლისთვისაც იბრძოდნენ ამხ. ავაქიანი და აკოფიანი, განაგრძობენ მშრომელნი. სამოქალაქო პანაშვიდის დამთავრების შემდეგ ამხ. **ავაქიანისა და აკოფიანის** კუბოები გადატანილ იქნა ქალაქში, კულტურის სახლში; პროცესიის დროს მუსიკა სამგლოვიარო მარშს უკრავდა (ადს).

ამხ. ავაქიანისა და აკოფიანის გვამების გადასვენება

ლენინაკანი, 14 სექტემბერი. 14 სექტემბერს, შუადღისას, ლენინაკანზე გაიარა სამგლოვიარო მატარებელმა ამხ-ბი ავაქიანისა და აკოფიანის გვამებით. ამხ. ავაქიანი და აკოფიანი დაიღუპნენ კარაკლისში ავტომობილის კატასტროფის დროს.

სადგურზე მატარებელს შეხვდნენ პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე საფეიქრო ფაბრიკისა და რკინის გზის მუშები მუსიკის ორკესტრით და სამგლოვიარო დროშებით. ბაქანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ სამაზრო კომიტეტის მდივანი, აღმასკომისა და პროფბიუროს თავმჯდომარენი და გარნიზონის წარმომადგენელი. სხვადასხვა ორგანიზაციამ კუბო მრავალი გვირგვინებით შეამკო (ადს).

პარტიული ცხოვრება

ფაბ-ქარხადგილკომების გადარჩევა და პარტორგანიზაცია

უკვე დაიწყო საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევა.

პარტორგანიზაციამ ამ კამპანიის დროს პირველ ყოვლისა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ამოცანების შესრულების შემოწმებას, რომლებიც საქ. კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მომართვაში წამოაყენა პროფესიონალურ კავშირების წინაშე.

ეს ამოცანები მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: მტკიცედ უნდა იქნეს დაცული შინა საკავშირო დემოკრატიზმი და პროფორგანოთა არჩევითი პრინციპი, პროფორგანოებმა, განსაკუთრებით ფაბქარხადგილკომებმა, მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მასიური მუშაობის გაცხოველებას, მუშა-მოსამსახურეთა მასებთან უფრო მჭიდროთ დაახლოებას.

წარმოების რაციონალიზაცია ჩვენი პარტიის ამოცანაა. სწორედ ამიტომ ფაბქარხკომების გადარჩევის დროს უნდა მიეცეთ დირექტივა პროფკავშირებს მეტი მონაწილეობა მიიღონ წარმოების ცხოვრებაში. სისწორით უხელმძღვანელონ საწარმოო თათბირებს და ხელი შეუწყონ მათს გადაქცევას ისეთ ორგანოებად, რომელიც ნამდვილ მასიურ კონტროლს გაუწევს წარმოებას.

ჩამოთვლილ ამოცანების გადაწყვეტა უპირველესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აქტივობას გამოიჩენს პროფკავშირის წევრთა მასა არჩევნებში.

ამიტომ კომუჯრედებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ თვითეული მუშის მონაწილეობა ადგილკომის მოხსენების განხილვაში. ეს მონაწილეობა საშუალებას მოგვცემს გამოვააშკარაოთ პროფორგანოთა ნაკლოვანებანი (მასებიდან მოწყვეტა და სხვ.) და დავსახოთ მათი გამოსწორების გზა.

კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო და საანგარიშო კრებების მოწყობის ორგანიზაციულ მხარეებს.

პარტუჯრედებმა არჩევნების წინ უნდა აწარმოონ მოსამზადებელი მუშაობა. მათ პარტიულ და უპარტიო აქტივის საშუალებით ფართოდ უნდა გააცნონ მუშა-მოსამსახურეებს გადარჩევების მნიშვნელობა და ამოცანები.

თვითკრიტიკის გაძლიერება და პროფკავშირული დემოკრატიის გაშლის ინტერესი მოითხოვს, რომ მაქსიმალურად იქნეს გაძლიერებული პარტიული ხელმძღვანელობა. ამავე დროს არ უნდა დაუშვათ, რომ კომუჯრედებმა გადარჩევის კამპანიაში პროფორგანოების მაგივრობა გასწიონ.

ჯ.—ელი.

კომკავშირში

კონკურსი კომკავშირული უჯრედების საუკეთესო ნაშრომზე

მოსკოვი, 14 სექტემბერი. კომკავშირის ცეკამ გამოაცხადა კონკურსი კომკავშირული უჯრედების საუკეთესო ნაშრომზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. კონკურსი გამოცხადდება 15 სექტემბერს და დამთავრდება 2 მარტს. 1 მაისს მოხდება საუკეთესო უჯრედების დაჯილდოება. (ადს).

კომკავშირში საინფორმაციო მუშაობის შესახებ

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ზრდასთან დაკავშირებით, ყოველდღიურად ღრმავდება და რთულდება კომკავშირის მუშაობა. საგრძნობლად და სწრაფად იზრდება ახალგაზრდობის კულტურული და სხვა მოთხოვნილებანი.

ამ მოთხოვნილებათა აღნუსხვისა და შესწავლის გარეშე შეუძლებელია მათი დაკმაყოფილება.

ამ საქმეში თვალსაჩინო როლს კომკავშირის ინფორმაცია თამაშობს. უკანასკნელ დრომდე მუშაობის საერთო სისტემაში ინფორმაციას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ადგილებზე ინფორმმუშაობა ცუდად იყო დაყენებული. სამაზრკომები ანგარიშებს საკუთარი სქემის მიხედვით ადგენდნენ და ნაკლებად ხელმძღვანელობდნენ საერთო სქემით. ამის გამო ისინი ხშირად გვერდს უხვევდნენ მთელ რიგ საგულისხმო საკითხების გაშუქებას. საერთოდ ანგარიშებში მცირე ადგილი ეჭირა ცოცხალ-დამახასიათებელ ფაქტებს.

ცეკას ინფორმაციული ქ. განყოფილება დიდხანია რაც მასალების თემატიურ დამუშავების სისტემაზე გადავიდა, მაგრამ ზევით აღნიშნული მიზეზის გამო, ზოგიერთ საკითხებზე ჯერ-ჯერობით მას არავითარი მასალა არ მოეპოვება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. სამაზრკომები, თემკომები, უჯრედის ბიუროები ხშირად ისმენენ სხვადასხვა საანგარიშო მოხსენებებს. ასეთ შემთხვევაში ოქმში აღნიშნავენ მხოლოდ საკითხს და მომხსენებლის გვარს, დადგენილება კი ვრცლად არის მოყვანილი. ამ სახით შედგენილი ოქმით ჩვენ საშუალება არა გვაქვს გავეცნოთ მოხსენების შინაარსს და ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია გამოტანილი დადგენილება. მომავლისათვის აუცილებელია, რომ სამაზრკომებმა და სხვა კომიტეტებმაც პრაქტიკაში შემოიღონ შემდეგი: თუ მოხსენების მთლიანი ამოწერა (ოქმში შეტანა) ტექნიკურად შეუძლებელია, იგი წერილობითი სახით (ორ ცალად) თან უნდა დაერთოს ოქმს.

უკანასკნელ ხანებში ინფორმმუშაობის სათანადო დონეზე დაყენების და გამარტივების საკითხს პარტიამაც ყურადღება მიაქცია. კომკავშირის ცეკამაც დაამუშავა და დაგზავნა დირექტივა ინფორმმუშაობის დაყენების და წარმოების შესახებ ორგანიზაციებში. სამაზრკომებმა და თემკომებმა სათანადოთ უნდა დაამუშაონ და ყოველდღიურ მუშაობაში სახელმძღვანელოდ გამოიყენონ ეს დირექტივა.

დღემდე ჩვენს ქვედა საფეხურის ორგანიზაციებში არ ყოფილა სერიოზული ცდა ინფორმაქტივის კადრის შესაქმნელად. დირექტივაში კი ინფორმაქტივის შექმნის აუცილებლობა ხაზგასმით არის აღნიშნული. ინფორმაქტივის კადრი უნდა შეიქმნას საოლქო და სამაზრო კომიტეტებთან, რაიკომებთან, თემკომთან და ბოლოს უჯრედებშიაც. ამ მუშაობაში უმთავრესად აბკორები უნდა ჩავაბათ. ინფორმმომუშავეებმა უნდა გამოიყონ პოლიტ-ცოდნით აღჭურვილნი, საკავშირო მუშაობის კარგად მცოდნე და გამოცდილი ამხანაგები.

გამოყოფილი ინფორმმომუშავენი ინფორმაციას აწვდიან ზემდგომ საკავშირო ორგანოებს თანამიმდევრობით.

ინფორმმომუშავეების მოვალეობას შეადგენს: ახალგაზრდობის მოთხოვნილებათა განწყობილების შესწავლა, უჯრედის მუშაობის მიღწევა-ნაკლოვანებათა აღნუსხვა, კომკავშირელთა ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტების შეკრება და გაშუქება ზემდგომ ორგანოების წინაშე და საკავშირო პრესაში. ინფორმმომუშავეები ყოველთვის უნდა დაესწრონ ბიუროების და უჯრედების სხდომებს და სხვა კრება—თათბირებს. დასწრება არ უნდა იყოს ფორმალური. ყველა თათბირების სხდომების და კრებების მუშაობა გამოყენებულ უნდა იქნეს ინფორმაცია-მასალის შესაგროვებლად.

საკავშირო მუშაობის არც ერთი კუნჭული არ უნდა დარჩეს ინფორმაციის გარეშე. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს ზევით მდგომ ორგანოების დირექტივების შესრულების შემოწმებას.

საინფორმაციო მასალა უნდა შეიცავდეს მთავარ დამახასიათებელ მომენტების გაშუქებას კონკრეტ ფაქტებით და ციფრებით. ყოვლად უვარგისად უნდა მივიჩნიოთ ისეთი საინფორმაციო მასალა, რომელიც ცოცხალი მაგალითებით არ იქნება დასაბუთებული.

საინფორმაციო მუშაობის ამ მომენტების გათვალისწინება და შეთვისება აუცილებელია, იმისათვის რომ ინფორმაცია ჩვენი მუშაობის სწორ და ნათელ სარკედ გადაიქცეს.

ვ. ყრუაშვილი.

რა გამოირკვა

(ლიუქსემბურგი, ბორჩალოს მაზრა)

ამას წინად შესდგა ლიუქსემბურგის კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც თვითკრიტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გაპალოვმა.

მოხსენების ირგვლივ საქმიანი კამათი გაიმართა. ორატორები ერთსულოვნად ამხელდნენ შემჩნეულ ნაკლოვანებებს.

საგულისხმოა აქ რამოდენიმე დეფექტის აღნიშვნა: მაზრაში სამკითხველოების მდგომარეობა უნუგეშოა. ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც ლიუქსემბურგის მუშათა კლუბთან არის მოთავსებული მაგალითის მიცემი უნდა იყვეს დანარჩენ სამკითხველოებისათვის. აქ კი არავითარი მუშაობა არ სწარმოებს, ჟურნალ-გაზეთების მიღების საკითხი ვერ არის მოგვარებული, ახალ გაზეთს აქ ვერ ნახავთ. არ არის ჩამოყალიბებული არც ერთი წრე. სამკითხველოს არც ბინა აქვს ხეირიანი.

სამაზრო პოლიტგანი სამკითხველოებს დროზე ვერ აწვდის ჟურნალ-გაზეთებს. გარდა ამისა მაზრაში ბევრი სამკითხველო დაკეტილია გამგის უყოლობის და ლიტერატურის უქონლობის გამო.

სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებაში გამეფებულია ბიუროკრატიზმი. განყოფილების გამგე მაქსიმოვი, რომელსაც ერთდაიმავე დროს ბორჩალოს მაზრის ს. სამ. ტრესტის თავმჯდომარის ადგილი უკავია (რაზედაც ზედმეტ ჯამაგირს ღებს) გასულ წელს სამფინანსო გამგის თანამდებობიდან იყო მოხსნილი, როგორც ბიუროკრატი. მიუხედავად ამისა, მაქსიმოვმა ეხლა უფრო მაგრად გაიდგა ფეხი და ორ სკამზე წამოსკუპდა. ეს კაცი ყოველთვიურად 15 დღეს მივლინებაში ატარებს.

მაქსიმოვის მეთაურობით ლიუქსემბურგში დაარსდა საბინაო კოოპერატივი. მაქსიმოვმა კოოპერატივის წევრები დააიმედა „სახლებს აგიშენებთო“. მოკრიბა თვითეულ წევრიდან 55 მანეთი და სადღაც „გაქრო“. კოოპერატივის წევრებს კი აღარც სახლი და არც ფული.

მაქსიმოვის ხელმძღვანელობის წყალობით უკვე მიიძინა ლიუქსემბურგის აგურის ქარხანამ და უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

გასულ წლის საპერსპექტივო გეგმით მაზრის [illegible] წარმოების შემოსავალი ასი ათასი მანეთი უნდა ყოფილიყო. წლის ბოლოს გამოირკვა, რომ შემოსავალი არ აღემატებოდა 15 ათას მანეთს და ისიც „წარმოების გაუმჯობესებას მოხმარდებაო“ აცხადებს მაქსიმოვი.

აღსანიშნავი იყო ერთი ამხანაგის შემცდარი გამოსვლა. ამ ამხანაგმა აღნიშნა, რომ თვითკრიტიკა არ არის ისეთი ლოზუნგი, რომელიც ავიკარნახებს ამა თუ იმ დაწესებულების დეფექტების საჯაროდ მხილებას. თუ ჩემს მუშაობაში რაიმე დეფექტებს შეამჩნევთ, მე უნდა მითხრათ ან წერილობით მომითითოთ, მასაში საჯაროდ კი არ უნდა მამხილოთო.

ამგვარი აზრი ცხადია შემცდარია. თვითკრიტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის სინათლეზე გამოვიტანოთ ყოველივე ნაკლი. ეს ჭეშმარიტება ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევითვისოთ.

ჟანილი.

თბილისის კომიტეტში

კომინტერნის კონგრესის შედეგთა დამუშავება

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ შეადგინა კომინტერნის მეექვსე კონგრესის შედეგთა დამუშავების გეგმა.

გეგმის მიხედვით კონგრესის გადაწყვეტილებათა დამუშავების პოლიტიკური კამპანია ჩატარებული იქნება პარტიაში, კომკავშირში, და მუშებსა და გლეხებს შორის.

თბილისის აქტივის შემდეგ (რომელიც უკვე შესდგა), კონგრესის შედეგთა განსახილველად მოეწყობა პარტუჯრედთა ჯგუფური კრებები.

კომუჯრედების კომკავშირის უჯრედებთან გაერთიანებულ კრებებზე უნდა დამუშავებულ იქნას სამი საკითხი: ა) კომინტერნის პროგრამა. ბ) კომინტერნის ანგარიში (ბუხარინის მოხსენება), გ) კოლონიალური საკითხი.

კომკავშირში მოწვეული იქნება აქტივის კრება, რომელზედაც გაკეთდება მოხსენება კონგრესის შედეგების შესახებ.

თბილისის ძირითად წარმოებებში მუშების საერთო კრებებზე ჩატარებული იქნება ასეთივე მოხსენებები.

სოფლად კონგრესის შედეგების დამუშავება იწარმოებს პარტიის და კომკავშირის ღია სათემო კრებებზე.

გლეხ-ქალთა შორის მუშაობა მანგლისის თემში

თბილისის კომიტეტის სამდივნომ მოისმინა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია გლეხ-ქალთა შორის მუშაობა მანგლისის თემში.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სადელეგატო კრებების მიმდინარეობა წელს [illegible] მოწესრიგდა, გლეხ-ქალთა საერთო კრებები გეგმის მიხედვით ტარდება, დელეგატი ქალები მიმაგრებული არიან სხვადასხვა ორგანიზაციებზე პრაქტიკული მუშაობისათვის.

მაგრამ ქალთა შორის მუშაობას ამ თემში დეფექტებიც საკმაოდ აქვს. თემკომები და უჯრედები სუსტად ხელმძღვანელობენ ამ მუშაობას; სად. კრებების ხელმძღვანელები არ არიან სათანადოთ შერჩეული; პრაქტიკანტ დელეგატ ქალებს არავინ ხელმძღვანელობს, დელეგატებს სუსტი კავშირი აქვთ ამომრჩეველ მასასთან; სადელეგატო კრებების დღიურებს სისტემატიურად არ აწარმოებენ; საპროგრამო საკითხები დაკავშირებული არ არის პრაქტიკულ მუშაობასთან; თემკომს არ აქვს მოჯამაგირე ქალთა აღრიცხვა და არც რაიმე მუშაობას აწარმოებს მათ შორის.

შემდგომისათვის თბილისის კომიტეტმა წინადადება მისცა თემკომს გააძლიეროს პარტხელმძღვანელობა ქალთა შორის მუშაობაზე, რისთვისაც საჭიროა ამ მუშაობის კვარტალური გეგმები თემკომებისა და უჯრედების სხდომებზე მტკიცდებოდეს.

ხშირად უნდა ეწყობოდეს ქალთა კომისიების თათბირები, რომლებზედაც დამუშავდება ხელმძღვანელ პარტ-ორგანოთა გადაწყვეტილებანი ქალთა შორის მუშაობის სხვადასხვა მომენტებზე.

დელეგატ ქალთა გადარჩევის საკითხი ყველა უჯრედებში უნდა გაირჩეს. სადელეგატო პუნქტები მოეწყოს: მანგლისში, თემში „ინტერნაციონალ“-ში, ბუდიონოვკაში და ლენინის უბანში.

ამომრჩევლებთან კავშირის დამყარების მიზნით ჩატარდება დელეგატ ქალთა საანგარიშო კამპანია.

თემკომმა მიწა-ტყის კავშირის ორგანიზაციებთან ერთად უნდა ჩაატარონ მოჯამაგირე ქალთა აღრიცხვა და შეადგინონ მათთან მუშაობის გეგმა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხი ქალების ჩაბმას ყოველი სახის კოოპერაციაში, აგრეთვე—კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში. ამისათვის საჭიროა სისტემატიური ახსნა-განმარტებითი კამპანიის წარმოება მათ შორის (საერთო და სადელ. კრებებზე, სამკითხველოებში, გლეხ-ქალთა კუთხეებში და სხ.).

ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის მუშაობის გასაძლიერებლად წინადადება მიეცა სამაზრო პოლიტგანს სოფ. დიდ და პატარა ოთნეთში და შახვრილოში მოაწყოს ცალკე სალიკვიდაციო პუნქტები და კურსები გლეხი ქალებისათვის.

გერმანიის სწავლულ-მეცხვარეთა ჩამოსვლა

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ გერმანიის სწავლული-მეცხვარეები: აღმოსავლეთ-პრუსიის სასოფლო-სამეურნეო პალატის მესაქონლეობის განყოფილების თავმჯდომარე **ფონ-ტოისკი** და აღმოსავლეთ-პრუსიის მესაქონლეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ლილიენტალი**. საქართველოში ისინი ჩამოვიდნენ იმის შესასწავლად, თუ როგორ არის დაყენებული მესაქონლეობის საქმე საზოგადოდ და კერძოდ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეეგუა აქაურ პირობებს გერმანიაში მიმდინარე წლის გაზაფხულში შეძენილი ვიურტემბერგის ჯიშის 1.500 ცხვარი. ლილიენტალი და ფონ-ვოისკი თბილისში ჩამოვიდნენ ვოლგის მხარიდან, სადაც გაეცნენ მესაქონლეობის საქმის დაყენებას.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან გამართულ საუბარში ფონ-ვოისკიმ სთქვა:

„ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა კავშირში დაწყებულია დიდი მუშაობა მეცხვარეობის განსავითარებლად. პირობები მისი განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელია საბჭოთა კავშირის მრავალ ადგილას. მთავარი ამოცანა, რომელიც სდგას აქ მეცხვარეობის დარგში—მერინოსის შეუღლება ადგილობრივ უბრალო ცხვართან—წარმატებით ხორციელდება. ყოველივე ის, რაც ჩვენ ვნახეთ, ამტკიცებს იმას, რომ წარმატება მეცხვარეობის განვითარების საქმეში თქვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილია“.

ფონ-ვოისკისა და ლილიენტალს თან ახლავს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების წარმომადგენელი ამხ. გოცი.

შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების გამოკვლევა და აღნიშნა, რომ შრომის კანონმდებლობაში კოდიფიკაცია არ არის გატარებული. ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეადგინოს და გამოსცეს რუსულ და ნაციონალურ ენებზე საკოდიფიკაციო კრებული. კრებული უნდა შეიცავდეს მთელ მომქმედ კანონმდებლობას 1929 წლის 1 იანვრამდე. ამასთან ერთად საჭიროდ იქნა ცნობილი გარკვევით გაიმიჯნოს და უფრო ზედმიწევნით ჩამოყალიბდეს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების საკანონმდებლო ფუნქციები. ამისთვის უნდა გამომუშავდეს დებულება, რომელიც განსაზღვრავს მათ უფლებებს და მოვალეობას.

გამოკვლევის პროცესში მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღნიშნა, რომ დღემდე გრძელდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მუშებს თავის დროზე არ ეძლევათ ხელფასი, ხოლო ცალკე წარმოებებში ასეთ შემთხვევებს სისტემატიური ხასიათი აქვს. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა შრომის სახალხო კომისარიატს, მიიღოს გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს ხელფასის დაგვიანებით გაცემას, და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი. ამასთანავე ერთად შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა სასტიკად ადევნოს თვალყური, რომ დაწესებულებებმა და წარმოებებმა დაიცვან ხელფასის დაწესებული ლიმიტები და ლიმიტზე მაღალი განაკვეთების დანიშვნის წესი, დაშვებული არ უნდა იქნეს ლიმიტზე მაღალი განაკვეთების უკანა რიცხვით დანიშვნა.

გამოკვლევა შეეხო აგრეთვე ხელფასის მოწესრიგების საკითხებს. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საჭიროდ სცნო ადგილებზე სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილების აპარატის გაძლიერება და სატარიფო-მომწესრიგებელი მუშაობის გაუმჯობესება, და წინადადება მისცა შრომის სახალხო კომისარიატს—მიიღოს ზომები ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგების გასატარებლად სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებაში, რისთვისაც შესწავლილი უნდა იქნას უკვე ჩატარებული მოწესრიგების გამოცდილება და შედეგები.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღნიშნა, რომ შრომის სახ. კომისარ. საკმაო ენერგიით არ ებრძვის ზედმეტ საათებში მუშაობას. ამიტომ ზედმეტ საათებში მუშაობის მაქსიმალურად შესამცირებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საჭიროდ სცნო, რომ შრომის ინსპექციამ ენერგიულად ადევნოს თვალყური ნორმალური სამუშაო დროის დარღვევას და ზედმეტ საათებში მუშაობის ნებართვა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში გასცეს, როდესაც ეს ნამდვილად აუცილებელია. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ხაზგასმით აღნიშნა შრომის დაცვის ორგანოების მუშაობის გაძლიერების საჭიროება, რისთვისაც წინადადება მისცა შრომის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს შრომის ინსპექტორების ქსელი, გააფართოვოს იგი სამრეწველო რაიონებში, არ დატვირთოს ინსპექტორები გეგმის გარეშე დავალებებით და ამასთანავე ზომები მიიღოს მათი კვალიფიკაციის ასაწევად.

შემდეგ, გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ცალკე წარმოებები არ ასრულებენ ტექნიკური და სანიტარული ინსპექციების მითითებებს. ვინაიდან ინსპექცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მტკიცე დირექტივა გასცა აუცილებლად პასუხისგებაში იქნეს მიცემული ის, ვინც დაარღვევს ინსპექციების მოთხოვნებს. ამასთან ერთად შრომის სახალხო კომისარიატმა აუცილებლად უნდა დაამუშავოს კონკრეტული ღონისძიებები, რათა მუშებს უკეთ გააცნონ უშიშროების ტექნიკა, სამრეწველო სანიტარიის და პროფჰიგიენა, რისთვისაც უნდა მოეწყოს ლექციები და საუბრები, გამოიცეს მასიური ლიტერატურა და გაფართოებულ იქნას სამუზეუმო მუშაობა. ამასთანავე საჭიროა აწეულ იქნას ტექნიკური და სანიტარული ინსპექტორების კვალიფიკაცია. ამ მიზნით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საჭიროდ სცნო, რომ ინსპექტორების კადრი შეივსოს კონკურსის მოწყობის საშუალებით. ამასთანავე სანიტარული ინსპექციის მუშაობის რაციონალიზაციის მიზნით. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა შრომის სახალხო კომისარიატს—მოაგვაროს ინსპექციის კავშირი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან და გააძლიეროს კონტროლი მის მითითებათა შესრულებაზე.

ამ ღონისძიებათა გარდა, გამოკვლევის შედეგად ინსპექციამ შეიმუშავა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა დანიშნულებას შეადგენს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობის რაციონალიზაცია სხვა დარგებში. ასე, მაგალითად, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს—გააფართოვოს მუშაობა იმისათვის, რომ სამეურნეო ორგანოებთან დაიდოს ხელშეკრულებები შრომის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ; გამოსცეს წესები აზბესტის მრეწველობაში მუშების შენახვისა და უშიშროების შესახებ; გააძლიეროს სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორებისათვის ინსტრუქციების მიწოდება: მიიღოს ზომები, რათა რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან მოეწყოს მუშათა საბინაო მშენებლობის სექციები; გააძლიეროს ადგილებზე შრომის კანონმდებლობის გატარების კონტროლი და შემოწმება და სხვ. (ადს).